645
1977 4
ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს ქალი

ივნისი
№ 6 1977 წ.

ЗНАК ПОЧЕТА

ეროვნული ბიბლიოთეკა




19 აპრილიდან 21 აპრილამდე
თბილისში მუშაობდა
საქართველოს სსრ მასწავლებელთა
IV ყრილობა.

„საქართველოს ქალი“
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.



1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა

# ბავშვებს ყველაფერი საუკეთესო!

25803

ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ეს ანდერძი განუხრელად ხორციელდება საბჭოთა ქვეყანაში.

საბჭოთა სახელმწიფო სახსრებს არ იშურებს მომავალი ბედნიერი, ჯანმრთელი, განათლებული თაობების აღსაზრდელად.

პირველი საბავშვო ბაღი საქართველოში 1921 წელს დაარსდა. ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში 1619 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება 133 ათასამდე ბავშვს ემსახურება. გარდა ამისა, სოფლად, კოლმეურნეთა ბავშვებისათვის გახსნილია 350-400 სეზონური საბავშვო ბაღი. ყოველწლიურად იზრდება ზოგადსაგანმანათლებლო, პროფტექნიკური, მუსიკალური, სამხატვრო, სპორტული და სხვა სკოლები, პიონერთა სასახლეების, ნორჩ ტექნიკოსთა სადგურების რაოდენობა. დღეს საქართველოს 3855 დაწყებითი, რვაწლიანი და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ერთ მილიონზე მეტი მოსწავლე ეუფლება ცოდნას, ხოლო საბავშვო სანატორიუმებსა და პიონერთა ბანაკებში ყოველწლიურად ასიათასობით ბავშვი იკაჟებს ჯანმრთელობას. ასე გაიზარდა ბავშვებისათვის ზრუნვა ჩვენს ქვეყანაში ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს პირველი დეკრეტებიდან დღემდე.

და მაინც, ბავშვების კეთილდღეობის შემდგომი ზრდა-ამაღლება, დღესაც კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს უპირველესი საზრუნავია.

მოზარდი თაობისათვის საყოველთაო-სახალხო ზრუნვის განსაკუთრებული სულისკვეთებით არის გამსჭვალული სკკპ XXV და საქართველოს კპ XXV ყრილობების გადაწყვეტილებები.

ბავშვთა სწავლა-აღზრდის საკითხებს მიეძღვნა წლეულს, 19-21 აპრილს საქართველოს მასწავლებელთა IV ყრილობაც.

ეს სამდღიანი, დიდი, სერიოზული საუბარი საქართველოს ბავშვთა გონებრივი, ფიზიკური, ესთეტიკურ-მორალური აღზრდის სადღეისო უმნიშვნელოვანეს პრობლემებს მოიცავდა.

ყრილობაზე საინტერესო მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ამხ. ო. ქინქლაძე. ჩვენი რესპუბლიკის სახელოვანი მასწავლებლები და ნორჩთა, აღმზრდელები უზიარებდნენ ერთმანეთს გამოცდილებას, საფიქრალსა და დიდ საზრუნავს, თავიანთ მოსაზრებებს სწავლა-აღზრდის შემდგომი სრულყოფის თაობაზე, ყურადღებას ამახვილებდნენ ნაკლოვანებებზე, აყენებდნენ საქმიან, საინტერესო წინადადებებს.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. შევარდნაძემ დიდი შეფასება მისცა მასწავლებელთა IV ყრილობას, ილაპარაკა დღევანდელი სკოლის ავ-კარგზე. მოუწოდა სათანადო უწყებებს, დროულად, ხარისხოვნად შეასრულონ ბავშვთა აღმზრდელობითი დაწესებულებების მშენებლობის, სასკოლო ინვენტარით, სახელმძღვანელოებით მომარაგების, ბავშვთა კვების ხარისხის გაუმჯობესებისათვის ნაკისრი ვალდებულებები. ამხ. შევარდნაძემ მასწავლებლებს მოუწოდა, კვლავაც განუხრელად აიმაღლონ პედაგოგიური ოსტატობა.



კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკ.
ბიბლიოთ...

# ბავშვი და დედამიწა!

ბავშვებისათვის ზრუნვა ყოველი სოციალისტური სახელმწიფოს უპირველესი ამოცანაა. ეს ამოცანა ღონისძიებათა მთელი სისტემით ხორციელდება, ოჯახების კეთილდღეობისა და ბავშვთა სწავლა-აღზრდის შემდგომ ამაღლებასა და სრულყოფას ითვალისწინებს.

აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის იმ ქვეყნებში, სადაც კოლონიალიზმის უღლისაგან განთავისუფლებული ხალხები დაადგნენ სოციალური პროგრესის გზას, დიდი მუშაობაა გაშლილი ბავშვთათვის კეთილმყოფელი პირობების შესაქმნელად.

სულ სხვა სურათია კაპიტალის ბატონობის სამყაროში. მილიონობით ბავშვის სიცოცხლისა და დედების ტანჯვა-წვალების ფასად იზრდება კაპიტალისტური მონოპოლიები; კანის ფერის მიხედვით ხდება ბავშვთა „დახარისხება"... აუტანელი შრომა, შიმშილი, სიღატაკე, უვიცობა — აი „არაპრივილეგირებულ" ბავშვთა მძიმე ხვედრი...

დღევანდელმა ბავშვებმა უნდა აშენონ ხვალინდელი დღე. მშობლების ვალია, შევქმნათ ყველა აუცილებელი პირობა მომავალ მშენებელთა გონებრივი, ფიზიკური, სულიერი განვითარებისათვის, ისე აღვზარდოთ შვილები, რომ შეძლონ მსოფლიო კულტურის საგანძურის დაუფლება, პატიოსნად და მშვიდობიანად ცხოვრება, ჰქონდეთ დედამიწის ყოველი კუთხის ხალხების სიყვარული და პატივისცემა.

ამ კეთილშობილურმა მიზნებმა და შესაძლებელი, მომავალი საკაცობრიო ომების, ნგრევის, ულეტისა და განადგურების თავიდან აცილების აუცილებლობამ, მსოფლიოს ბედზე დაფიქრებამ, ბავშვების ბედზე დაფიქრებამ შეაკავშირა ერთ დიდ ბანაკად, მშვიდობისათვის მებრძოლთა ბანაკად მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობა. ამ ბანაკში უდიდესი როლი ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულ ფედერაციას და მის ავანგარდს — საბჭოთა ქალების კომიტეტს მიეკუთვნება.

1950 წელს მშვიდობისათვის ბრძოლის ვითარებაში იშვა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე 1 ივნისი.

კეთილი ნების ადამიანთა ხანგრძლივ, დაჟინებულ ბრძოლას უნდა ვუმადლოდეთ, რომ აგერ 30 წელზე მეტია, რაც მსოფლიო მშვიდობას ინარჩუნებს, მაშინ, როდესაც მსოფლიოში არის ძალები, რომლებმაც შეძლეს ამ წლების განმავლობაში არაერთი ომის გაჩაღება, მაგრამ მათ ზრახვებს — მსოფლიოს თავს მოახვიონ მსოფლიო გამანადგურებელი ომი — გამართლება არ უწერია.

ამ ღრმა რწმენით გამსჭვალული საბჭოთა ხალხები, ჩვენი პარტიისა და მთავრობის მესვეურნი, კერძოდ მშვიდობის დიდი მედროშე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი დიდად იღვწიან საბჭოთა კავშირის კომპარტიის XXV ყრილობის მიერ დასახული საგარეო, სამშვიდობო პოლიტიკის განხორციელებისათვის.

მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლა ბავშვთა სიცოცხლისა და ბედნიერებისათვის ბრძოლაა.

„ჩვენ გვაკისრია პასუხისმგებლობა ბავშვების ბედზე და ჩვენ უნდა გვაერთიანებდეს დედობრივი სიყვარული. მოდით, მივმართოთ ყველა ქალს — დედას და მოვიზიდოთ მშვიდობისა და სიცოცხლისათვის ერთობლივ საბრძოლველად.

არ კმარა, მხოლოდ გვიყვარდეს ბავშვები, ჩვენ უნდა დავიცვათ ისინი ომის საშიშროებისაგან, შიმშილისა და ყოველგვარი ძალადობისაგან. — ნათქვამია ყველა ქვეყნის ქალებისადმი ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის ერთ-ერთ მიმართვაში.

... ბავშვთა დაცვა, ამ დღეს, 1977 წლის 1 ივნისს საბჭოთა საქართველოს ქალები თავის წრფელ ხმას უერთებენ მთელი პროგრესული კაცობრიობის მოწოდებას მსოფლიოს ბავშვთა ინტერესების დასაცავად — ბავშვთა სიცოცხლისა და ბედნიერების დასაცავად.

სიცოცხლე, სიკეთე და ბედნიერება ბავშვებს, ჩვენს იმედსა და მომავალს!

გაუმარჯოს 1 ივნისს — ბავშვთა საერთაშორისო დღესასწაულს!

* * *

დედის და ქვეყნის საზრუნავი ერთია — აღზარდოს ჯანმრთელი, გონებაგახსნილი, განათლებული, კაცთმოყვარე და სამშობლოსმოყვარე სპეტაკი ადამიანი.

დედა შვილის გაჩენის დღიდან ამისთვის იღვწის.

ამისთვის იღვწის ჩვენი სახელმწიფოც.

სტუმრად ვართ თბილისის პირველ ბაგა-ბაღში. ეს ძველი, მდიდარი ტრადიციების ბაღია, სადაც წარსულის კარგი გამოცდილება წარმატებით გრძელდება და კიდევ უფრო მდიდრდება. ქალბატონმა ნატო უნაფქოშვილმა ჩაუყარა აქ საფუძველი სკოლამდელთა სწორ და ყოველმხრივ აღზრდას, დღეს კი ამ კეთილშობილურ საქმეს დიდი მონდომებით და სიყვარულით აგრძელებს ქეთევან კაკუშაძე, მოწოდებით პედაგოგი და ბავშვთა აღზრდის დიდი ხელოვანი. მას შემოკრებილი ჰყავს ისეთი აღმზრდელები, რომლებსაც მასავით უყვართ ბავშვები, ნათლად ესმით თავიანთი მოვალეობის დიდი მნიშვნელობა და ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ნორჩები ჰარმონიულად განვითარდნენ ფიზიკურად, გონებრივად და სულიერად. ლალი ფერაძე, იულია თვალავაძე, თინათინ ნიქაბაძე, რუსუდან ლორთქიფანიძე, მარიამ გოგინაშვილი, საიდა დუნდუა და სხვები შესანიშნავად ფლობენ აღმზრდელის ხელოვნებას და ბევრ რამეში ბაგა-ბაღის გამგეს, ქეთევან კაკუშაძეს ემადლიერებიან, რომელიც სულ მუდამ მათ გვერდით არის და თავის მდიდარ გამოცდილებას უზიარებს.

ბავშვები დახვეწილად მეტყველებენ, სწორად, ლოგიკურად აზროვნებენ, თავად უვებიან ზღაპრებს, ამომწურავ, ზუსტ პასუხებს იძლევიან დასმულ კითხვებზე, წარმოადგენენ ინსცენირებას, ცეკვავენ, მღერიან, ხატავენ მზეს, ყვავილებს, დედას... ძერწავენ, ამზადებენ აპლიკაციებს... ერთი სიტყვით, ისინი სკოლაში შესვლისათვის ემზადებიან.

გონებრივ განვითარებას დიდ ყურადღებას რომ აქცევენ დღეს თბილისის, სხვა ქალაქებისა თუ რაიონების უმრავლეს საბავშვო ბაღებში, ეს ცნობილია. აღმზრდელები გატაცებულნი არიან ამ საქმით და ეგებ, სხვა რამ მხედველობიდან გამორჩათ. არა, კი არ გამორჩათ, სწორედაც ძალიან აწუხებთ ჯერ კიდევ ბევრი მოუგვარებელი საკითხი, მაგრამ რა ქნან, როცა ამ საკითხებზე სხვა პირი თუ დაწესებულებაა პასუხისმგებელი და მათთან ვერაფერი გაუწყვიათ!

ეს გასაჭირი უპირველესად ბავშვთა კვებას შეეხება.

სრულფასოვანი კვება ბავშვის ჯანმრთელობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. რად გვინდა განათლებული თაობა, თუ ჯანმრთელი არ იქნა, ჯანმრთელობისთვის კი ის აუცილებელი საკვებია საჭირო, ორგანიზმის ზრდა-განვითარებას რომ უწყობს ხელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ-ერთ ჯგუფს სადილობისას მივუსწარით. პატარებს უკვე ესადილნათ და დესერტს ელოდნენ. აღმზრდელმა ჯამით ვაშლი შემოიტანა. ყველას თვალი გაუბრწყინდა. „ვაშლი, ვაშლი“, — გადაულაპარაკეს ერთმანეთს. აღმზრდელს უხერხულობა შევნიშნეთ — თითქოს რცხვენოდა ერთიბეწო, უხარისხო ხილს რომ ალაგებდა პატარების მაგიდებზე. ბავშვების ჩამქრალ აღტაცებას თვალს არიდებდა. „მე დიდი მინდა, მასწავლებელო, — იმეორებდნენ აქა-იქ, ჩუმად, და გულდაწყვეტილები, რომ მომცრო ვაშლები შეხვდათ, უხალისოდ იწყებდნენ ჭამას.

თბილისის ხილბოსტანვაჭრობის მაღაზიებში მთელი ზამთრის მანძილზე საკმაოდ კარგი ხარისხის ვაშლი იყიდებოდა. მაშ, რატომ მაინც და მაინც პატარებს უგზავნიან უვარგის ხილს? იმიტომ ხომ არა, რომ პირადად ვერ ხვდებიან მათ და არც მათი პრეტენზიებისა ეშინიათ? ეს ბავშვების ღალატია, ვაჭრობის მუშაკებო!

სამზარეულოში მზარეულები უიმედოდ შეჰყურებდნენ ერთმანეთს. ისეთი კარტოფილი მიიღეს, რომ არ იცოდნენ, როგორ გაეფცქვნათ: კაკლისხსიმსხო კარტოფილისგან გაფცქვნის შემდეგ აღარაფერი რჩებოდა. მაშინ მისი მოხარშვა გადაწყვიტეს, რომ ცოტა დანაკარგები ჰქონოდათ. სად ნახეს ასეთი კარტოფილი, რა კერძი უნდა დამზადდეს მისგან, ან გემრიელი იქნება იგი? ასეთ წვრილ კარტოფილს ხომ თბილისის მაღაზიებში ვერ იპოვით!

არც სხვა ბოსტნეულს იღებენ ხარისხიანს — ყველაფერი გაფუჭებული, ნახევრად-დამპალი მოსდით: კომბოსტო, სტაფილო, მწვანილი. პამიდორს კი საერთოდ თვალით ვერ ნახულობენ (მოსკოვის საბავშვო ბაღებში პამიდვრის სალათა ყოველთვის არის მენიუში). მოიცალონ ვაჭრობის სამინისტროს პასუხისმგებელმა პირებმა და დაინტერესდნენ, რას ჭამენ ჩვენი შვილები... იქნებ მაშინ სხვა უფრო სამარცხვინო ფაქტებსაც წააწყდნენ.

ახლა ვნახოთ, პურს თუ მიირთმევენ პატარები. თითქმის არა, ან ძალიან უგემურად. და რამდენი პური ნიავდება ტყუილუბრალოდ. ბავშვებს მობეზრდათ საუზმეზე, სადილზე, სამხარზე სულ ერთნაირი პური. დილით რომ 50-გრამიანი ფუნთუშა დავუწყოთ მაგიდაზე, ეჭვი არ არის, ყველანი სიამოვნებით დაავლებენ ხელს და გემრიელად დანაყრდებიან. დიდი ხანი არ არის, რაც პურის ქარხანამ დაიწყო 50-გრამიანი პურის გამოშვება. ის უპირველესად საბავშვო ბაღებში უნდა გაიგზავნოს ჩაიზე მისართმევად.

ჩვენში ჯერ კიდევ იგრძნობა საბავშვო ბაღების ნაკლებობა. იქნებ იმიტომაც, რომ ყველა დედას, მუშაობს თუ არ მუშაობს, სურს თავისი შვილი საბავშვო ბაღში გაიზარდოს. ისიც ფაქტია, რომ ჩვენს ქვეყანაში დედების უმრავლესობა საქმით არის დაკავებული — ან მუშაა, ან მოსამსახურე, ან სტუდენტი. ეს ჩვენი სოციალისტური წყობის დიდი სიკეთეა. ალბათ დიდხანს ცდა არ დაგვჭირდება იმ დრომდე, როცა ყველა ბავშვს ექნება ადგილი საბავშვო ბაღში. მეათე ხუთწლედში 2,5-2,8 მილიონი ბავშვისათვის აშენდება ბაგა-ბაღები, ხუთწლედის ბოლომდე ცდა მოგვიწევს. დღეს კი საბავშვო ბაღში ჯგუფები ძლიერ დატვირთულია, ორჯერ მეტია აღსაზრდელთა რიცხვი. ამიტომ სათამაშოები, რომლებიც 25 ბავშვისთვის არის გათვალისწინებული, 50 ბავშვს აღარ ჰყოფნის. ბავშვის ზრდა-განვითარება წარმოუდგენელია, თუ მას სათამაშო არ ექნა. სათამაშო უვითარებს მას აზროვნებას, აფიქრებს და ართობს კიდეც. იმისათვის, რომ დღევანდელ ბავშვმრავალ ჯგუფებში ყველა ნორჩი ნაწილობრივ მაინც დაკმაყოფილდეს სათამაშოთი, აუცილებელია გაიზარდოს სათამაშოების შესაძენი თანხა.

ნამდვილად მძიმეა აღმზრდელის შრომა იქ, სადაც ორჯერ მეტი ბავშვია. სხვა რომ არაფერი, გასეირნების წინ მათ ჩაცმა სჭირდებათ! მთავარი კი ის არის, რომ მეცადინეობის დროს აღმზრდელს ნაკლები საშუალება აქვს ინდივიდუალურად მიუდგეს აღსაზრდელს. არა და, რა დიდია ინდივიდუალური მიდგომის ძალა!



სხვა გზა ხომ არ ვეძებოთ? მაგალითად, უმჯობესი ხომ არ იქნება დღის პირველ ნახევარში ჯგუფში ორი აღმზრდელი მუშაობდეს? (კადრების გამოძებნა, რა თქმა უნდა, შეიძლება). მაშინ დილის საუზმის შემდეგ ჯგუფი ორად გაიყოფა. ერთი აღმზრდელი ბავშვებს გაასეირნებს, სუფთა ჰაერზე ათამაშებს, მეორე — დანარჩენებს ამეცადინებს. შემდეგ ესენი ჰაერზე გაისეირნებენ, დაბრუნებულნი კი მეცადინეობას შეუდგებიან. იქნებ ამაზე განათლების დარგის მუშაკებმა იფიქრონ და საკითხი ბავშვების სასარგებლოდ გადაწყვიტონ!

რაც ერთხელ დაწესებულა, დოგმა არ არის. დროს ცვლილებები მოჰყვება. ამიტომ სიახლისა არ უნდა გვეშინოდეს. მითუმეტეს, როცა საქმე ბავშვებს ეხება.

ბავშვი ჩვენს ქვეყანაში ყველაზე ძვირფასია!

ლია კაკაბაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



როზა მაჩუჩარიანი

ოლღა ანდრეიჩუკი





მ. სიდოროვა.

# ძმურ ოჯახში

ამ უძველეს ქართულ მიწა-წყალზე, ქართველების გვერდით, როგორც ერთ ოჯახში დიდი ხანია დაფუძნებულან რუსი, სომეხი, აზერბაიჯანელი, იეზიდი, უკრაინელი, პოლონელი...

დღეს მათი სამშობლო საქართველოა. რაიონში ყოველი მიღწევა საერთო შრომის შედეგია, საერთო გარჯით მოპოვებული. ერთმანეთის ენა ბევრს ესმის, ერთმანეთის საქმიანობას იცნობენ, ერთ მეგობრულ, დიდ ოჯახად ცხოვრობენ და ბოლნისელები ჰქვიათ.

როზა მაჩუჩარიანი ვეტექიმია, ხარისხის სახელმწიფო ინსპექციაში მუშაობს და რაიონის მეცხოველეობის განვითარებისათვის ზრუნავს.

მარია ზაბორსკაია სასტუმროს გამგეა, მაგრამ მას კარგ მეაბრეშუმედ უფრო იცნობენ. მისმა რგოლმა შარშან ოთხჯერ მეტი აბრეშუმის პარკი ჩააბარა სახელმწიფოს, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული.

მარიამ პავლიაშვილი 30 წელზე მეტია ჯანმრთელობის დაცვის სადარაჯოზე დგას. იგი პატარა ბოლნისელების მკურნალია. ეს დიდი მისია ხელს არ უშლის რაიონის ქალთა საბჭოს ხელმძღვანელობაში.

ელისაბედ ალექსიადი რაიონული საავადმყოფოს სამშობიარო-გინეკოლოგიურ საავადმყოფოში მედდად მუშაობს, ადრე საბავშვო ბაღის გამგე იყო. მას უყვარს პატარები, ახარებს ყოველი ახალი სიცოცხლის დაბადება.

დაღესტნის მთიანი სოფლებიდან ჩამოვიდნენ უმამათ გაჯიევა და როზა მაჰამედოვა. ისინი საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის სამკერვალო საამქროში მოეწყვნენ მკერავებად. წუნი არა აქვს მათ ნახელავს და შემკვეთებიც მადლიერი ჰყავთ.

ასირიელი ჯულიეტა ბედბეინოვა რუსულ ენას ასწავლის სკოლაში.

მორდველი მ. სიდოროვა მადნეულის სამთო-გამამდიდრებელ კომბინატში სამართავ პულტთან დგას.

კაზაკი რაისა შამუდინოვა ამავე უბანზე მუშაობს.

ბაშკირი ფლორა ამამედდინოვა-ბაკიევა ამწეს მემანქანეა.

ჩერქეზი ლენა გუროვანოვა კავშირგაბმულობის მუშაკია.

ბელორუსი ოლღა ანდრეიჩუკი რაიუნივერმაღის სექციის გამგედ მუშაობს, გეგმებს გადაჭარბებით ასრულებს, კმაყოფილი ჰყავს მომხმარებელი.

ოსები რაიონში ამ ოცდაათიოდე წლის წინათ დასახლდნენ. ისინი კეთილსინდისიერად ემსახურებიან სამშობლოს. ოსი ქალი საბეი გაზაევი პურისმცხობელია. მან შვიდი შვილი გაზარდა. მისი გამომცხვარი პური კარგი ხარისხისაა, გემრიელია.

ბოლნისის კავშირგაბმულობის განყოფილებაში ათი სხვადასხვა ეროვნების ადამიანი მუშაობს. ესენი არიან: ლეკი ოლია ბილალოვა, ჩერქეზი ლენა გუროვანოვა, ოსი მარია პუხაევა, გერმანელი გრეტა მუხიგულაშვილისა, ქართველი ლუბა მოწონელიძე, რუსი კლავდია კრუშკოვა, სომეხი ანუშ მანუკიანი, უკრაინელი კლავდია პეტრენკო, აზერბაიჯანელი ფატმა მამედოვა, ბერძენი ვარვარა ანანიკოვა. ეს საქმიანი და მეგობრული კოლექტივი ბევრჯერ გამოსულა გამარჯვებული სოციალისტურ შეჯიბრებაში.

რაიონში ცხოვრობენ და მუშაობენ დიდი რუსი ხალხის წარმომადგენლები. ვაჭრობის დარგში მომუშავე ანა სუხორუკოვას მისაბაძი შრომის შესახებ რამდენჯერმე დაიბეჭდა წერილი რაიონულ პრესაში. თავიანთი საქმიანობით ასევე გამოირჩევიან საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკი ირმგარდ დობროვოლსკაია და პედაგოგი კლავდია ბელოვა.

ნათელა ჩხეიძე სამედიცინო სასწავლებლის კურსდამთავრებული იყო, როცა სამამულო ომი დაიწყო. მან პირნათლად მოიხადა ვალი სამშობლოს წინაშე, მრავალი დაჭრილი გამოიყვანა ბრძოლის ველიდან და სიცოცხლე შეუნარჩუნა. დღეს ის ბოლნისშია და ადამიანთა ჯანმრთელობას ემსახურება.

80 წელს არის მიღწეული თუქაზბან ასლან ყიზი და ჯერ კიდევ მხნედ მუშაობს ბოლნისის საბჭოთა მეურნეობაში. ომის დროს მან საკუთარი დანაზოგით თვითმფრინავი და ტანკი შესძინა ფრონტს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ჯულიეტა ბედბეინოვა

საბეია კოზაევა



ნადეჟდა სვინტიძე



თუქაზბან ასლან ყიზი



ელიზავეტა ალექსიადი



აზერბაიჯანელ ქალებს დიდი წვლილი შეაქვთ რაიონის წარმატებებში. მათგან გამოირჩევა ფახრალოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის წევრი თუქაზბან იბრაჰიმოვა. ბრიგადამ, რომელშიც ის არის გაერთიანებული, თამბაქოს მოსავლის გეგმა 111 პროცენტით შეასრულა, ყურძნის მოსავლისა — 181 პროცენტით. ეს კულტურები ბრიგადის წევრებზე ინდივიდუალურად არის გაპიროვნებული. თუქაზბანმა ბევრად გადააჭარბა საშუალო მოსავლიანობას, თამბაქოს გეგმა 198 პროცენტით შეასრულა, ყურძნისა კი — 289 პროცენტით. თუქაზბანს მუშაობის ხალისი შეემატა, როცა 1972 წელს სკკპ რიგებში მიიღეს. 1970 წელს თანასოფლელებმა მას დიდი ნდობა გამოუცხადეს და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. ხალხის ნდობას მან შრომის ნაყოფიერების მაღალი დონით უპასუხა.

მთავრობამ სათანადოდ დააფასა თუქაზბანის ღვაწლი. ის შრომის წითელი დროშის ორდენის კავალერია, მკერდს მედლებიც უმშვენებს.

თუქაზბანი 1976 წელს საქართველოს კპ XXV და სკკპ XXV ყრილობების დელეგატი იყო. მოსკოვიდან ახალი საზრუნავით დაბრუნდა, და თანასოფლელები ყრილობების გადაწყვეტილებათა შესასრულებლად დარაზმა.

**იოსებ მერაბიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პატარებისათვის

### სამუილ მარშაკი

წელს სრულდება 90 წელი რუსული საბავშვო ლიტერატურის ამაგდარის — სამუილ იაკობის ძე მარშაკის დაბადებიდან. ჩვენს ნორჩ მკითხველებს სიამოვნებით ვთავაზობთ საყვარელი პოეტის ზღაპარს, რომელიც ქართულ ენაზე პირველად ქვეყნდება.

# აი, რა არეულია

ჩვენთან თავგზაარეული
ცხოვრობს კაცი მთვარეული.

მზის სხივების ტაშისკვრაზე
გაღვიძებულს ერთხელ, უცბათ
მაისურის ნაცვლად თავზე
შარვლის ტოტი ჩამოუცვამს.

დაუხურავს ცხელი ტაფა,
თმა და კეფა დაუწვია,
ფეხზე თექის ჩექმის ნაცვლად
ხელთათმანი ჩაუცვია.

ისეთი არეულია,
ნამდვილად მთვარეულია.
ერთხელ დიდი ვაი-ვიშით
შეიბარგა ტრამვაიში,
და მიმართა ვატმანს შიშით,
ჩავარდნილმა გასაჭირში:

— შენ, დიდად პატივცემულო,
ვაგონთ მატარებელო,
ვაგონთა პატივცემულო,
დიდად მატარებელო,
ვჩქარობ,
თუ არ ხარ ავგული,
ნათქვამი დამიჯერე,
თუ შეიძლება სადგური
ვაგონთან გამიჩერე.

— ეს რა თქვა?
ეს რა წამოსცდა?! —
გაოცდა მძღოლი დიდად,
მგონი ტრამვაიც გაოცდა,
ადგილზე გაირინდა.

ბილეთისთვის დახლს მიადგა,
დახლიდარებს დაერია,
სალაროსთან რიგში ჩადგა
ბურახი რომ დაელია.

საწვიმარის შარიშურით
მოხსნილ ვაგონს მიაშურა,
აიტანა ჩემოდნები,
გამგზავრებას ელოდება,
ოცნებაში ჩაიძირა,
ჩამოჯდა და ჩაიძინა.
— სადა ვდგავართ? —
ფერმიხდილი
ეკითხება მგზავრებს დილით.
— როგორ თუ სად? —
გაიკვირვეს,
პირადიაც ამას ჰქვია.
ელმავლებმა დაიკივლეს:
— ეს ლენინგრად ქალაქია.

ისევ ფიქრში ჩაიძირა,
ისევ ისე ჩაიძინა;
დილით სადგურს თვალი მოკრა,
სანაქებოს, სადიადოს,
ბოლოგოეს ან პოპოვკას
მივაღწიეთ ნამდვილადო,
თქვა და
ისევ გამვლელს ჰკითხა:
— სადა ვდგავართ, ძმაო, მითხარ.
— რას კითხულობ? ვერა ხედავ?
გონი ხომ არ დაგკარგვია?
ქალაქია გმირთა დედა,
ეს ლენინგრად ქალაქია.

ისევ ფიქრში ჩაიძირა,
კიდევ ერთხელ ჩაიძინა.

დილით ისევ სადგურს ხედავს
და კითხულობს:
— სად ვართ, ნეტავ?
— ქალაქია გმირთა დედა, —
ეს რომ უთხრეს ეცა ელდა.

რასა ჰგავსო, აღრიალდა,
დაანარცხა მიწას ქუდი,
— სამი დღეა გზაში ვარ და
ისევ უკან ჩამოვბრუნდი?!

აი, რა არეულია,
სწორედ რომ მთვარეულია.

თარგმნა ვაჟა ჟუჟუნიძემ



## ციფრები და ფაქტები

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში დასაქმებული მუშებისა და მოსამსახურეების რაოდენობამ 1976 წელს შეადგინა 104,3 მილიონი კაცი, ერთ წელიწადში 2,1 მილიონით გაიზარდა.

* * *

1975 წელს სახალხო მეურნეობაში დასაქმებული უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე სპეციალისტი ქალების რიცხვი შეადგენდა 13,4 მილიონ ადამიანს, რაც 1940 წლის დონეს 15-ჯერ, ხოლო 1928 წლისას 89-ჯერ აღემატებოდა. ამჟამად სსრ კავშირის მეცნიერ მუშაკთა საერთო რაოდენობის 40 პროცენტს ქალები შეადგენენ.

* * *

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ოჯახების 1,7 პროცენტი ფლობს წარმოების საშუალებათა 73,5 პროცენტს, ამერიკის შეერთებულ შტატებში მოსახლეობის ერთი პროცენტის ხელთ არის ეროვნულ სიმდიდრეთა 21 პროცენტი, დიდ ბრიტანეთში მოსახლეობის ერთი პროცენტი ინარჩუნებს ქვეყნის მთელი სიმდიდრის 26 პროცენტს.

* * *

1969 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში სპეციალისტთა შორის უმუშევრობამ შეადგინა 1,3 პროცენტი, 1974 წელს — 2,3, ხოლო 1975 წელს — 3,6 პროცენტი. იტალიაში ასი ახალგაზრდა ინჟინრიდან მხოლოდ ხუთს შეიძლება ჰქონდეს მუდმივი სამუშაოს იმედი.

* * *

ბევრი განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნის მწვავე პრობლემა ხდება ქალის შრომის უფლებისადმი დისკრიმინაციული დამოკიდებულება. იაპონიაში, მაგალითად, ისინი იღებენ მამაკაცის ხელფასის 54 პროცენტს.

* * *

ამერიკის შეერთებულ შტატებში უკვე დიდი ხანია შესამჩნევი გახდა ერთნაირი კვალიფიკაციის მამაკაცისა და ქალის შრომის ანაზღაურების დაშორიშორების ზრდის ტენდენცია: 1955 წელს ქალის საშუალო ხელფასი შეადგენდა მამაკაცის ხელფასის 64 პროცენტს, 1965 წელს — უკვე 60, ხოლო 1974 წელს — 57 პროცენტს.



70 წელი შეუსრულდა ქართველ საბჭოთა მათემატიკოსს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს ილია ნესტორის ძე ვეკუას.

ილია ვეკუა ეკუთვნის იმ გამოჩენილ მეცნიერთა რიცხვს, რომელთაც სახელი გაუთქვეს საბჭოთა ქვეყანას. მისი ფუნდამენტური შრომები შევიდა მსოფლიო მათემატიკური მეცნიერების საგანძურში; იგი გახლავთ გამოჩენილი სპეციალისტი მათემატიკურ ფიზიკაში; დაწერილი აქვს 70-ზე მეტი ნაშრომი დიფერენციალურ და ინტეგრალურ განტოლებათა ამოცანებზე, ზედაპირებისა და გარსების თეორიაში, ფუნდამენტური შედეგები აქვს მიღებული სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა და ანალიზურ ფუნქციათა სასაზღვრო ამოცანების თეორიაში.

ილია ვეკუა ნახევარი საუკუნეა რესპუბლიკის სხვა თვალსაჩინო მეცნიერებთან ერთად ავითარებს საქვეყნოდ განთქმულ მათემატიკურ სკოლას, დღენიადაგ ზრუნავს საბჭოთა საქართველოს და მთელი ჩვენი ქვეყნის მეცნიერული კადრების აღზრდისათვის.

გამოჩენილ საბჭოთა მეცნიერებთან ერთად მან დააარსა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილება, შექმნა და მრავალ წელს ხელმძღვანელობდა ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტს, იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა სახელმწიფომ ღირსეულად დააფასეს ილია ვეკუას თვალსაჩინო წვლილი საბჭოთა მეცნიერების განვითარებაში და მიანიჭეს სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება. დააჯილდოვეს ხუთი ლენინის ორდენით, „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქციის კოლექტივი, სარედაქციო კოლეგია და მრავალრიცხოვანი მკითხველი ძვირფას ილია ნესტორის ძე ვეკუას ულოცავს მისი დაბადების დღეს და უსურვებს შემდგომ დიდ წარმატებებს მეცნიერულ, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში ქართული საბჭოთა მეცნიერების საკეთილდღეოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალს სსრ კავშირში მამაკაცის თანასწორი უფლებები აქვს.

ამ უფლებათა განხორციელებას უზრუნველყოფს ქალებისათვის თანასწორ შესაძლებლობათა მინიჭება განათლებისა და პროფესიული მომზადების მიღებაში, შრომასა და მის ანაზღაურებაში, სამსახურებრივ დაწინაურებაში, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ საქმიანობაში, აგრეთვე სპეციალური ღონისძიებანი ქალის შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში; დედათა და ბავშვთა სამართლებრივი დაცვა, მატერიალური და მორალური მხარდაჭერა, მათ შორის ორსული ქალებისა და დედებისათვის ფასიანი შვებულებებისა და სხვა შეღავათების მიცემა; მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების გაწევა.

სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტიდან

# ახალი ლექსები

## ბერდია ბერიაშვილი

### ის აქ ჩამოვა

„დიდი ხანია ვოცნებობ თქვენთან ჩამოსვლაზე. მინდა საკუთარი ხელით მოვკრიფო ჩაის ფოთოლი, რომლისაგანაც ესოდენ ძვირფასი სასმელი მზადდება.“

ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვა

გაეღიმება ასკანას როცა,
გაიისდება მისი დაისი.
იგი ჩამოვა ღიმილით, მორცხვით
და სიხარულით უბეს აივსებს.

კოსმოსიდან რომ დაბრუნდა, მაშინ
ვარქმევდით ცოცხალ ზღაპარს, თქმულებას.
დღეს კი თოლია ფრთებს ჩვენ წინ გაშლის,
ყველა ლეგენდის დადასტურებად.

ცაზე გაჩნდება ირმის ნახტომი,
ცა ვარსკვლავებით მოიჭედება
და ის იწამებს სიზმრის ახდენას,
იტყვის: — ვიხილე, მართლაც, ედემი.

იტყვის, რომ მე აქ მოვედი სტუმრად
და შემხვდნენ, როგორც დიდი ხნის ნაცნობს,
ტყუილუბრალოდ როდი განთქმულა,
სტუმართმოყვრობა ქართველი კაცის.

მოხიბლავს გზებზე ალვების რიგი
და იგრძნობს მიწის ჯადოსნურ ფერებს
და რომ მხატვარი არ გახდა იგი,
ყველაზე მეტად იდარდებს მერე.

და ჩაის ბუჩქებს, — მწვანეთმებიანს,
საკუთარ ხელით, რომ შეეხება,
თვალნი ნაპერწკლად აენთებიან,
ვით სოფლის გოგოს, ირმისფეხებას.

და ის იქნება ისე მაღალი
და ის იქნება ისე უბრალო.
არ დავინანე, ყელი დავღალე
და მის ქალობას დღე-ღამ ვუგალობ!

### თუ გინდ თვალებზე მოგადგეს ცრემლი

ბევრიც რომ მითხრა — აღარ მოხვიდე,
მე მაინც მოვალ, მე მაინც გნახავ.
ძვირფასო, ჩემი გახდები ვიდრე,
ძვირფასო, ჩემად დაგსახე რახან,
რამდენს მეტს მეტყვი — აღარ მოხვიდე,
მე უფრო ხშირად მოვალ და გნახავ.

შენთან მოსასვლელ გზას ვეძებ ახალს,
დავდივარ შენი სარკმელის ახლო.
რატომ არ გინდა შენ ჩემი ნახვა,
როდესაც უკვე ჩემს გულში სახლობ?!

რა ვუყოთ, ჯერ თუ არა ხარ ჩემი,
მე მაინც უნდა სულ ჩემად გსახო.
იმედის სხივებს გულში შერჩენილს,
განსაწირავად ხელი არ ახლო.

თუმც მართალია, მიმზერ შორიდან
და თანაც მიმზერ კუშტად და ცერად.
მე მაინც უნდა ახლო მოვიდე.
უკვე, ვერასგზით, ვერ დაგთმობ, ვერა.

უნდა გიყურო, გიყურო დიდხანს,
როდესაც ირგვლივ აპრილი ჰყვავის
და შენ თუ გინდა, სიტყვაც არ მითხრა,
მე სიყვარულზე გიგალობ მაინც.

და აფეთქებულს გიჩვენებ ბორცვებს,
გეტყვი დრო არის სილაღის, ღელვის...
გეტყვი და... მერე მაინც გაკოცებ,
თუგინდ თვალებზე მოგადგეს ცრემლი.

## ნინო ბეზარაშვილი

# დედა

ღამეა. ყველას სძინავს. შენ კი ფუსფუსებ: ხვალისთვის სადილს აკეთებ, ალაგებ, აუთოებ. მერე მკლავზე გადაკიდებული, გაწკეპილი ტანსაცმელი საძილე ოთახში შეგაქვს და ბავშვების საწოლებთან ფრთხილად აწყობ. დილით ორივეს ჩაავლებ ხელს და მიგყავს სკოლაში, იქიდან კი სამსახურში გარბიხარ. მაგრამ არც მერე ანებებ თავს ბავშვებს. ფიქრით სულ მათთან ხარ: არ წაიქცნენ, არაფერი იტკინონ, საჭმელი ჭამონ, მშივრები არ დარჩნენ. ამ ღელვაში მიდის წლები, მძიმე ტვირთია ოჯახი, მძიმე, მაგრამ სიტკბოც ხომ დიდია!

უჰ, რა ღამე გასულა! ბავშვებს უკვე სძინავთ. ოთახში ღამის ლამპა უნთიათ. მშვიდი, წყნარი სინათლეა. სიბნელეში ვერ დააძინებ პატარებს, ვერა. გახსოვს, კარგად გახსოვს ომისდროინდელი ბნელი, პირქუში ღამეები: შიში და ეჭვი...

სიბნელეში ვერავის ხედავდი და გეგონა ყველანი გაგეპარნენ სადღაც.

— დედი! — შეშინებული ეძახოდი შუაღამისას.

— რა იყო, შვილო?

— სადა ხარ?

— სად წავალ, ქა?

— მეშინია, ბნელა...

— რა გაშინებს, აქ არა ვარ!

ახლა შენი შვილები განათებულ ოთახში წვანან. შუა კარიდან საწოლები მოჩანს. ერთში ბავშვების მამა წევს და ძინავს, ცარიელი საწოლი კი შენ გელოდება. იქიდან კარგად ჩანან ბავშვები. შენ თვითონ დააწყე ასე საწოლები, რომ იმათ წამოხველებაზე, გადაბრუნებაზე მალე გააჭყიტო თვალები და გახედო.

სიწყნარეა — შინაც, გარეთაც. სარკმლიდან იყურები და გიხარია, რომ ირგვლივ სიმშვიდეა. ბავშვებიც შინ არიან, იმათი მამაც. შენ გიყვარს ასეთი წუთები, როცა ყველა შინ არის.

ახლა უკვე საწოლისკენ მიდიხარ, მაგრამ სანამ დაწვები, კიდევ დახედავ ბავშვებს. იმათ სძინავთ და საამურად ფშვინავენ.

— ჩემო მტრედებო, — ჩურჩულებ და ჰკოცნი. გაგონდება დიდი აკაკის დედის სიტყვები: ნამეტანი ალერსი აფუჭებს ყმაწვილსო, და მძინარეებს ჰკოცნი. მერე ლოყაზე ადებ ლოყას, ჯერ ერთს, ახლა მეორეს. ლოყა რბილი და თბილი აქვთ ბავშვებს. ის სითბო თითქოს შენში გადმოდის, გული გითბება და გრძნობ როგორ ძლიერდები, მაღლდები.

ღმერთო ჩემო, რა ბედნიერებაა!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა



გივი მარუაშვილი

# სიყვა-
# რუ-
# ლი



მხატვარი ნანი შალიკაშვილი

ნოველა

დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, უმთვარო და კუნაპეტ ღამეს არსად არ მოსდევს ისეთი ბრდღვიალა დილა და მშვიდი დღე, როგორც ჩვენს სოფელში. არც ისეთი სიყვარული იციან სხვაგან, როგორც ჩვენთან, წუთისოფელი ასეა, დღეს ღამე უთენებია, რაც მტრობას დაუქცევია, სიყვარულს უშენებია, — ჩვენს სოფელში იმღერეს პირველად.

ეს სიმღერა მთელმა სოფელმა გაიზეპირა. ამ სიმღერას გულში ღიღინებდა ერთი ბერიკაციც. ყველამ იცოდა. რომ ეს ბერიკაცი აკვანშივე იყო სიყვარულის ისრით დაკოდილი, რადგანაც დედამისს, ვითარცა მარიამს, უქმროდ ეშვა იგი.

ეს ბერიკაცი, როცა გზაზე მიდიოდა, მუდამ ღიღინებდა, რადგან კოჭლობდა და არ უნდოდა იხტიბარი გაეტეხა. სოფელში იცოდნენ რომ ბერიკაცი ჩვილობისას მეზობლის ღორს აკვნიდან გადმოეთრია და თეძო მაშინ ამოვარდნოდა, მაგრამ მაინც სჯეროდათ მისი ოდესღაც ვიღაცასთან ნათქვამი, ყაჩაღების ნატყვიარიაო.

ამ ბერიკაცს პლატონი ერქვა.

სოფელში იცოდნენ, პლატონი ბევრ რამეში ტყუოდა, მაგრამ მაინც ყოველთვის აპატიებდნენ — იცოდნენ მისი სიყვარულის ამბავი.

პლატონს მუდამ კოჟრიანი ტყემლის ჯოხი ეჭირა. ეს ჯოხი მაღალ კაცს ჩვეულებრივ საბიჯგად თუ გამოადგებოდა, პლატონს კი თავსზევითაც სცილდებოდა. ისე მოხერხებულად ეჭირა ხოლმე პლატონს ეს ჯოხი, მეგზურობასა და ფეხობას ერთდროულად უწევდა. ეცინებოდათ სოფლელებს ამ ჩია კაცის დანახვაზე. მაგრამ არ იცინოდნენ —იცოდნენ მისი სიყვარულის ამბავი.

პლატონს ლაპარაკიც ძალიან უჭირდა. თუ არ ამოიმღერებდა, ვერაფერს გაგაგებინებდა, „გამარჯობა“ რა არის — „გამარჯობა“ რომ ეთქვა მეზობლისთვის, სისხამ დილით უნდა წამოეწყო ის „გამარჯობა“, რომ შუადღემდე მშვიდობიანად დაემთავრებინა. ეცინებოდათ სოფლელებს, მაგრამ არ იცინოდნენ— იცოდნენ მისი სიყვარულის ამბავი.

პლატონს სოფლის ულამაზესი ქალი კესია უყვარდა. პლატონი ისე დაჩაჩანაკდა, კესიასთვის არ უთქვამს მიყვარხარო. სოფელში კი მაინც ყველაფერი იცოდნენ.

პლატონს თავისი არაფერი გააჩნდა, არც ცოლი ჰყავდა, არც შვილი. მისი ქოხის მესამე კედელიც სხვისი იყო, მაგრამ მაინც ბედნიერ კაცად თვლიდა თავს—კესიასთან შარაგზა ჰქონდა საზიარო.

კესიას ახალგაზრდობაშივე მოუკვდა ქმარი, მაგრამ ამით სილამაზე და ბრწყინვალება არ დაჰკლებია, ბადრი მთვარესავით დაგოგავდა ეზოში და ღობესთან ატუზულ პლატონს თვალებს უწყლიანებდა. იცოდა კესიამ პლატონის თვალები ყველგან რომ დაჰყვებოდნენ, მაგრამ არ სწყინდა, პირიქით ერთხელ იმ ადგილსაც კი მიუახლოვდა, სადაც პლატონი იყო ღობეზე აკრული და სიცილით უთხრა.

— ბიჭო, პლატონ, ერთი სიტყვა მაინც მითხარიო.

პლატონი იმ ერთ სიტყვას თავისთვის ამბობდა და კესიასთან კი ვერადა ვერ ახერხებდა.

ღრმად მოხუცებული იყო კესია, აურაცხელი შთამომავალი რომ დატოვა და თავისი პირველი ქმრის გზას გაუდგა.

მილეულ მთვარესავით იწვა კესია კუბოში.

ეზოში კი ხალხის ტევა არ იყო.

პლატონი ძველებურად იდგა ღობესთან.

ვიღაცამ ხელი მოჰკიდა, მთელი ეზო გადაატარა და კესიას კუბოსთან მიიყვანა.

თავის განუყრელ ჯოხს მიყრდნობილი, გაქვავებული პლატონი თვალებდაუხამხამებლად უყურებდა კესიას.

ვიღაცამ სკამზე დასვა — აქ ხელს გვიშლისო.

მერე არავის გახსენებია პლატონი.

ერთი კვირის თავზე, ერთი კვირის მკვდარი იპოვეს თავის პატარა ქოხში.

ახლა სოფელში თითქმის აღარავის ახსოვს ეს ამბავი. მაგრამ პლატონივით სიყვარული, რასაც ნიშნავს, ყველამ კარგად იცის.

# სოფელი ქალაქს უტოლდება



# შენდება, ლამაზდება

თითქმის ექვსი წელიწადია სამტრედიის რაიონის სოფელ გომში წყალსადენის მშენებლობა მიმდინარეობს. კარგა ხანია მიწაში ფოლადის მილები ჩაყარეს. სათავე ნაგებობა მზად არის. ერთი შეხედვით თითქოს ყველაფერი რიგზეა. მაგრამ წყალსადენის გაშვებას მაინც არ დაადგა საშველი. არადა, დღე ერთი იყო და სასოფლო საბჭოში უამრავი მომსვლელი მოდიოდა საყვედურით: დავკარგეთ იმედი, მიწაში ჩაფლული მილები ალბათ ჟანგმა შეჭამა, ზაფხულობით ჭაში წყალი რომ დაშრეს, არ ვიცით რას ვიზამთ, საიდან მოვიტანთ სასმელ წყალსაო.

სოფლის საბჭოს თავმჯდომარე ვერა გოგუაძე ისმენდა ამ სამართლიან საყვედურებს. მას გადაწყვეტილი ჰქონდა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა მოკლე ხანში წყალსადენი ამუშავებულიყო.

სოფლად მშენებლობა ჯერ კიდევ დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. განა ადვილად ააგეს გომში ასნომრიანი ავტომატური სატელეფონო სადგური, რომლის საშუალებით კოლმეურნეები ბინიდან ესაუბრებიან მოსკოვს, კიევს, თბილისს! გაივლის დრო, სულ მცირე დრო და წყალსადენიც გადაეცემა საექსპლოატაციოდ. ვერას ამის იმედს სოფლის აქტივი აძლევს. წყლის დებეტი იმდენად დიდია, რომ, თუ დასჭირდათ, ანკარა წყალს რაიონულ ცენტრსაც მიაწვდიან.

ვერას გვერდში უდგანან სასოფლო საბჭოს დეპუტატები. მათი დახმარებით ამ რამდენიმე წლის წინათ ელექტრონის ქსელი გამართეს. დეპუტატები პირნათლად ასრულებენ ხალხის მსახურის საპატიო მოვალეობას. მათი თაოსნობით ბევრი სასარგებლო რამ გაკეთდა, მეათე ხუთწლედში გათვალისწინებული აქვთ ააგონ ადმინისტრაციული სახლი, კულტურის სასახლე, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, ბავშვო ბაღები, მაღაზიები. ყველა ამ საქმის მოთავე ვერაა. იგი პროფესიით მასწავლებელია. პედაგოგიური ალღო დიდად ეხმარება ადამიანთა შეცნობაში. ყოველდღიურად მრავალი ადამიანი მოდის საბჭოში. მათ თავიანთი პრეტენზიები და წინადადებები აქვთ. ვერა გულდასმით უსმენს ყოველ მომსვლელს და შენიშვნებს უბის წიგნაკში იწერს.

— ვრცელი, ლამაზი სოფელია გომი, — ამბობს ვერა. — მართალია, აქ არ დავბადებულვარ და არ აღვზრდილვარ, მაგრამ ჩემი პედაგოგიური მოღვაწეობის პირველი წლები სწორედ ამ სოფელთანაა დაკავშირებული, მომეწონა აქაური ხალხი, ბუნება. აქ გავთხოვდი.

გომში ამჟამად ათას სამასი კომლი და ხუთი ათასზე მეტი მცხოვრებია. სოფელი ვერას თვალწინ დამშვენდა და გალამაზდა. ამ ორი წლის წინათ გომელი მოსწავლეებისათვის რვაწლიანი და საშუალო სკოლების ახალი შენობები აშენდა. მათ აგებაში თავიანთი წვლილი შეიტანეს დეპუტატებმა: ნიკიტა, აკაკი და სოსო ჩაჩუებმა, შოთა თევზაძემ, ხოლო საკარმიდამო ეზოების გამწვანებაში — საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირმა მურმან ნადირაძემ, დეპუტატმა ვალერიან თევზაძემ, სასოფლო საბჭოს აქტივისტებმა ლილი და ლუსია თევზაძეებმა ისახელეს თავი.

დაფნარი საკმაოდ დიდი უბანია, სადაც წლების მანძილზე არ იყო სასოფლო ბიბლიოთეკა. უბნის მცხოვრებლებმა ამის თაობაზე რაიონული საბჭოს დეპუტატს, საბჭოთა მეურნეობის ახალგაზრდა მოწინავე მწველავს ნელი ჩაჩუას და სასოფლო საბჭოს დეპუტატს, დაფნარის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელს გენადი გიორგაძეს მიმართეს. ისინი მონდომებით მოეკიდნენ მათ თხოვნას და სათავეში ჩაუდგნენ სასოფლო ბიბლიოთეკის მშენებლობას. ამჟამად დაფნარის უბანს სანიმუშო სასოფლო ბიბლიოთეკა ემსახურება...

სოფელში ამომრჩეველთა ნდობას ამართლებენ დეპუტატები: ჟენგიზ წითელიშვილი, პანტელეიმონ ნადირაძე, პავლე გოგიშვილი, ქსენია ჩაჩუა, ოთარ ზაქარეიშვილი. მათი თაოსნობითა და შრომითი მონაწილეობით სოფლის ცენტრში აიგო მგზავრთა მოსაცდელი პავილიონი, კაპიტალურად შეკეთდა სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, კეთილმოეწყო სასოფლო და საუბნო გზები... ყველა ამ საქმეში დეპუტატთა დამრაზმველი ვერა გოგუაძე გახლდათ.

სახელი და პატივისცემა თავისით არ მოდის. მათი მოპოვება მხოლოდ შრომით შეიძლება. ვერა გოგუაძემ თავდადებული შრომით სოფელი კეთილმოწყობილი გახადა, სამაგიეროდ, ხალხის სიყვარული მოიპოვა.

**გივი თევზაძე,**
**საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ია შარიქაძე

# მარელისური სკამი

1924 წელს ორჯონიკიძის რაიონში, სოფელ სალანძილესა და მარელისს შორის, მდინარე ჩხერიმელას მარჯვენა ნაპირზე, ერთ გაშლილ ადგილას, რომელსაც დიდვაკეს ეძახდნენ და, რომლის მაღლა ფერდობზე ხშირ კორომებად შრიალებდა წიფლის ხეები, დაიწყო გრეხილი ავეჯის ფაბრიკის მშენებლობა. ორი წლის შემდეგ კი საყვირმა ყველას ამცნო, რომ ამუშავდა მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკა, რომელსაც წელიწადში რამდენიმე ათეული სკამი უნდა დაემზადებინა.

დაიძრა მშრომელთა ნაკადი ფაბრიკისაკენ. კაცებთან ერთად აქ ქალებიც მოვიდნენ, რომელთაც მძიმე პირობებში უხდებოდათ შრომა, მაგრამ მომავლის რწმენა ძალასა და შრომის ხალისს მატებდათ. მელო მაღრაძე და მარიამ ნიკოლეიშვილი, მარო დევდარიანი და თეო ორჯონიკიძე, ირაიდა ვეფხვაძე და ბაბილინა სახვაძე, ნატაშა ჩიკვაიძე და სხვები იყვნენ მაშინ შრომის გმირები... ზოგი მათგანი ქალთა შორის მუშაობას ეწეოდა, ზოგი წერა-კითხვას ასწავლიდა მოსახლეობას, ზოგიც წრეში მონაწილეობდა.

გადიოდა წლები. ახალგაზრდა მეავეჯეები თანდათან ეუფლებოდნენ პროფესიას, თანდათან ფართოვდებოდა, ძლიერდებოდა, ძალას იკრებდა საწარმო, ინერგებოდა ტექნიკის სიახლეები, იზრდებოდა ფაბრიკის სიმძლავრე.

ასე მოვიდა იგი ამ დღეებამდე, და დღეს ღირსეულად ამაყობს კომუნისტური შრომის საწარმოს სახელით, გადაჭარბებით ასრულებს გეგმებსა და ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს.

წავიდა ძველი ცვლა, ვინც საკუთარი მხრებით ზიდა მშობლიური საწარმოს ჭირვარამი... მოვიდა ახალი თაობა, ახალი ცვლა. ღირსეულად რომ აგრძელებს ძველ შრომით ტრადიციებს.

ფაბრიკა (დირექტორი თ. გორშკოვი) ცხრა-ათი სახის პროდუქციას უშვებს, მაგრამ მათ შორის ძირითადი მაინც სკამია — მარელისური სკამი. რამდენიმე წლის წინათ აითვისეს ახალი ტიპის ნახევრადრბილი სკამის წარმოება, რომელმაც სახელმწიფო ხარისხის ნიშანი მოიპოვა. მას ხუთი წელია სერიულად უშვებენ.

დღეს ათვისებულია კიდევ ახალი, გაუმჯობესებული სახის ნახევრადრბილი სკამი, რომელიც მოიწონა ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიურომ და სამხატვრო ტექნიკურმა საბჭომ. სკამს მეავეჯეებმა „საიუბილეო" შეარქვეს ფაბრიკის დაარსების 50-ე წლისთავის აღსანიშნავად და მას ყოველთვიურად 3-4 ათას ცალს უშვებენ.

განსაკუთრებული ენთუზიაზმით შრომობენ მეავეჯეები მეათე ხუთწლედში სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად. შეჯიბრების კოცონი ანთია ყველა საოსტატოში, ყველა დაზგასთან.

რუსთაველ მეფოლადეთა მოწოდება „არცერთი ჩამორჩენილი, არცერთი უდისციპლინო ჩვენს გვერდით", ქუთაისელ და თბილისის პირველი მაისის რაიონის მშრომელთა ინიციატივა გეგმების ყოველთვიურად შესრულების შესახებ ერთსულოვნად მოიწონეს მარელისელებმა და საპასუხო მოწოდებით მიმართეს რაიონის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებს, ყველა მშრომელს — იმუშაონ თავდადებულად, მათ რიგებში არ იყოს არცერთი ჩამორჩენილი, უდისციპლინო, ყოველთვიურად, ყოველდღიურად ასრულებდნენ გეგმებს.

ისინი სიტყვას საქმით ამართლებენ. საიუბილეო წლის პირველ კვარტალში საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 100,9 პროცენტით შესრულდა, რეალიზაციისა — 1C1,4 პროცენტით, ავეჯის გამოშვებისა (მათ შორის სკამების) — 101,4 პროცენტით. შრომის ნაყოფიერების გეგმა შესრულებულია 100,7 პროცენტით, დაზოგილია დიდი რაოდენობის ელექტროენერგია და მასალები. ფაბრიკამ წარმატებით დაამთავრა წლევანდელი წლის ოთხი თვე.

ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლედში ბევრი რამ კეთდება პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის. ამ მიზნით შემოღებუ-



ტანია ჩხეიძე



გამხეხ საამქროში

ფოტოები დ. იაქობაშვილის

ლია „ხარისხის დღე“. ბევრი მუშა საკუთარი დამღით მუშაობს.

ფაბრიკაში დიდი ყურადღება ექცევა შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვას. უკანასკნელ წლებში აქ ბევრი სიახლე დაინერგა. რეკონსტრუქცია გაუკეთდა პირველი მექანიკური საამქროს, ნახევრადრბილი სკამის დეტალების პირველადი დამუშავების განყოფილებას, დაიდგა „ტაო-2“ ტიპის კოტასაჭრელი დაზგა, სკამის აწყობა ხელის ნაცვლად ნახევრადავტომატურად ხდება. მიმდინარეობს მექანიკური საამქროს რეკონსტრუქცია. ყოველივე ამან გააუმჯობესა მუშების შრომის პირობები, პროდუქციის ხარისხი.

ფაბრიკაში მუშების უმრავლესობა ქალები არიან, რომელთაც დიდი წვლილი შეაქვთ საერთო წარმატებებში.

მეორე მექანიკურ გამხეხ-დამბაიცებელ საამქროში 135 მუშიდან 108 ქალია. დიახ, 108 წყვილი სათუთი ხელი აკეთებს ვაჟკაცურ საქმეს — სკამის საზურგეებს, წინა და უკანა ფეხებს, ცარგებს...

თინა შარიქაძე სკამის საზურგის გამხეხ დაზგაზე მუშაობს, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში შეუძლია რამდენიმე სხვა დაზგაზეც იმუშაოს. სწრაფად, ელვისებურად მოძრაობს მისი ხელები, პროდუქციას წუნი არა აქვს, გეგმები კი ყოველთვის 140-150 პროცენტით სრულდება. ამავე საამქროში მუშაობს მისი მეუღლე თენგიზი, მათი ვაჟი ამირანი კი მლუნავ საამქროში სკამის დეტალებს ამუშავებს. ტყუილად კი არ ამბობს თინა, ეს საწარმო ჩემი მეორე ოჯახიაო.

ოსტატად რომ გიცნობდნენ, პირველადი შრომითი კოლექტივის ხელმძღვანელი, წარმოებისა და შრომის უშუალო ორგანიზატორი, წარმოების ცენტრალური ფიგურა რომ იყო, ეს დიდი ნდობაა. ამ ნდობას ღირსეულად ამართლებს საფანერე საამქროს ოსტატი ბაბო მაღლაკელიძე. მასზე დამოკიდებულია შრომის ნორმალური ატმოსფეროს შექმნა, მუშათა აქტივობის დონე, შრომითი წარმატებები. ამიტომ ძალღონეს არ ზოგავს და საქმის სიყვარულით, ენთუზიაზმით მუშაობს. ეს საამქრო ფანერით ამარაგებს ფაბრიკას და საკმაო მცირედი შეფერხება, უხარისხო ფანერის გამოშვება, რომ შეაფერხდეს მთელი საწარმოს საქმიანობა, ხარისხი დაკარგოს გამოშვებულმა პროდუქციამ.

რთული და პასუხსაგები მოვალეობა აკისრია მეორე დამამზადებელი საამქროს უფროს მუშას კომუნისტ თამარ ჭაუჭიძეს. მისი სწორი ხელმძღვანელობით ყოველთვის მაღალხარისხოვანი პროდუქცია მზადდება.

აღსანიშნავია ინჟინერ-ნორმადარის ეთერ ვეფხვაძის, ბუღალტერ ნელი იაშვილის, მიმღებ-აღმრიცხველების გულო ბერაძის, ნაზი მაღრაძის, მედაზგეების ტანია ჩხეიძის, ია შარიქაძის, თამარ გაბუნიას, ციცინო, ლედი მაღრაძეების, ლეილა მეგრელიშვილის, ნადია კვინიკაძის, იზოლდა არევაძის, მაყვალა მაღრაძის, ნინუცა ბერაძის, თინა ამანათოვას და სხვათა საქმიანობა.

ფაბრიკაში გაუმჯობესდა ქალთა შრომის პირობები. აქვთ კარგად მოწყობილი ქალთა ჰიგიენის ოთახი, ნორჩების სამსახურში ახლადაშენებული საბავშვო ბაგა-ბაღის შენობა.

მაგრამ გასაკეთებელი კვლავ ბევრია. ჯერ კიდევ ყველა საამქრო როდი აკმაყოფილებს მოთხოვნებს, ყველგან არ არის ვენტილაცია, მუშებისათვის არ შენდება საცხოვრებელი ბინები, ძველ ბინებს კეთილმოწყობა სჭირდება, რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველომ ვერ მოაწყო ქალთა სალონი. ტანსაცმლის ქიმიური წმენდის საამქრო.

მართალია მუშებისათვის არის კეთილმოწყობილი სასადილო, მაგრამ ნაკლებად მარაგდება ხილით, ბოსტნეულით, რაზეც დიდი მოთხოვნილებაა. სასადილოში არ არის საკონდიტრო ნაწარმი, ფუნთუშეული.

დრო არ ითმენს, ეს მტკივნეული საკითხები სასწრაფოდ უნდა მოგვარდეს, რომ მარჯვეხელა მეავეჯე ქალები, რომლებიც წარმატებით ასრულებენ მეათე ხუთწლედის დავალებებს, კმაყოფილები იყვნენ.

**ქეთევან სახვაძე,**
ორჯონიკიძის რაიონული გაზეთის „ლენინის დროშით“ რედაქტორი, რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლახან მოსკოვში დიდ თეატრში დაიდგა ოთარ თაქთაქიშვილის ოპერა „მთვარის მოტაცება“, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა წილად. მისასალმებელია, რომ დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ღირსშესანიშნავ წელს ჩვენი ქვეყნის წამყვანმა თეატრმა ქართველი კომპოზიტორის მიერ შექმნილი თანამედროვე ოპერა დადგა.

„მთვარის მოტაცების“ საფუძველი კონსტანტინე გამსახურდიას ამავე სახელწოდების რომანი გახდა, რომელიც საბჭოთა წყობილების დამკვიდრების წლებში ქართული სოფლის ცხოვრების რთულ ვითარებას წარმოსახავს.

კომპოზიტორი ისწრაფვის გადმოგვცეს ადამიანების ღრმა გრძნობები, განასახიეროს ხალხური ხასიათები. იგი გაბედულად დაუბრუნდა დიდი, მღერადი ოპერის ტრადიციებს.

„მთვარის მოტაცებაში“ მონაწილეობს დიდი თეატრის მომღერალთა ბრწყინვალე თანავარსკვლავედი, მათ შორის ე. ნესტერენკო, ზ. სოტკილავა, რომელთა ოსტატობა ბევრად წყვეტს მთელი დადგმის წარმატებას, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ლ. ნიკიტინა (დედა), მ. ქასრაშვილი (თამარი), ა. ოგნიცევი (ტარიელი) და თარაშის პარტიის ორივე შემსრულებელი — ი. გულიაევი და ი. მოროზოვი. თითოეული მათგანი რთული ვოკალური პარტიის საუცხოო ინტერპრეტაციით ზუსტ სცენურ სახეებს ქმნის.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ თეატრის კოლექტივი ზედმიწევნით ჩასწვდა ოპერის მუსიკის, ცეკვების, სცენური მოქმედების ეროვნულ სპეციფიკას, ქართული ხალხური ცეკვის, საგუნდო სიმღერის თავისებურებებს.



საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ზურაბ სოტკილავა — არზაყანი



რსფსრ სახალხო არტისტი მაყვალა ქასრაშვილი — თამარი



სცენა — „მთვარის მოტაცებიდან“

მ. ბაბოვის ფოტოები

სცენები სპექტაკლიდან „კავკასიური ცარცის წრე“. იზა გიგოშვილი — გრუშე ვაჩნაძე





იზა გიგოშვილი

# გრუშე-გიგოშვილი



ცამეტი წელია რუსთაველის თეატრის ერთგულია.

ოცზე მეტი როლი განასახიერა მის სცენაზე.

— მათგან რომელი უფრო გიყვართ?

— თითქმის ყველა, რადგან მათ ვაძლევდი დიდ ნაწილს სულისას. ვერცერთს ვერ გამოვარჩევ.

— თქვენი გმირების სახელები?

— ქსენია.

მაიკო.

ლია.

აბიგაილი.

სიბრძნის ქალები.

ჰერმა.

ნატო ჩოდრიშვილი.

ნინა შჩეგოლოვა...

— და ბოლოს?

— გრუშე! გრუშე ვაჩნაძე...

„იზა გიგოშვილი რომ თანამედროვე სტილის მსახიობი იყო, ეს აქამდეც ვიცოდით, ის არასოდეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, არ აჭერდა მელოდრამატიზმის, პათეტიკის, მეტისმეტი გრძნობამოჭარბებულობის პედალს. მაგრამ, მე ვფიქრობ, რაც მან ჩვენთვის საინტერესო სპექტაკლში შესძლო, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. იზა გიგოშვილმა ამ როლით, უეჭველია, თვისებრივად ახალ სიმაღლესააღწია. ეს ალბათ მისი შემოქმედებითი ცხოვრების საეტაპო სპექტაკლად დარჩება. იზა თამაშობს ბრეჰტულად, როლისაგან დისტანცირებით, ძუნწად, აბსოლუტურად არ ცდილობს მაყურებელს მოაწონოს გრუშეც და საკუთარი თავიც. ბრეჰტის თეატრის პირობითობა მას შესანიშნავად აუთვისებია“. (ნოდარ კაკაბაძე. „კავკასიური ცარცის წრე“. ცისკარი № 11. 1976 წ).

იზა გიგოშვილის გრუშეს ბევრი გულთბილი სიტყვა თუ აღტაცება უძღვნეს ჩვენშიც, მოსკოვშიც და...

— ბრეჰტის სამშობლოშიც. — უმატებს მსახიობი. ეს სიზუსტისათვის სჭირდება და არა თავმოსაწონებლად. მისი სიხარული კი გასაგებია:

— თეატრალური ინსტიტუტიდან ვეტრფოდი ბრეჰტს. ვოცნებობდი რაიმე როლი მეთამაშა, თუნდაც ეპიზოდური... მე ბედნიერი ვიქნებოდი, რადგან ეს იქნებოდა შეხვედრა ბრეჰტთან, ყველაზე თანამედროვესთან, ყველაზე საჭიროსთან. მე ასე ვფიქრობ, იმასაც ვფიქრობ, ბრეჰტის ნაწარმოებთა პერსონაჟების განსახიერება ისევე რთულია, როგორც შექსპირისა...

— და ეს სირთულე საკმაოდ ახლდა გრუშე ვაჩნაძესაც, „კავკასიურ ცარცის წრესაც“...

— საკმაოდ?! ბრეჰტი ხომ იმდენად რთულია, რომ მხოლოდ ზომიერებაა საჭირო. ბრეჰტი ბეწვის ხიდია. იგი მხოლოდ ბრეჰტისეული უნდა იყოს. მხოლოდ და მხოლოდ! უნდა გენახათ, მთელმა დასმა რა ტანჯვით, რა სიფრთხილით მოვკიდეთ ხელი მის პიესას! პიესის რიტმულობას. რა დამუხტულნი ვიყავით!

აქ, რა თქმა უნდა, თავისი დიდი სიტყვა რეჟისორს — რობერტ სტურუას ჰქონდა სათქმელი. დასს, პირადად თქვენც, რა მოგწონთ ამ საინტერესო ხელოვანისა? როგორ მუშაობდით მასთან ერთად ამ სპექტაკლის შექმნისას?

— რობერტ სტურუა... მე ვითამაშე მის დადგმულ სპექტაკლებში. ესენია: „ხეილემის პროცესი“, „ვახშმობის წინ“, „მზიანი ღამე“... ოდითგან ასე იყო და ახლაც, ბრეჰტზე მუშაობისას კიდევ ერთხელ ვიგრძენით, ნათლად ვიგრძენით, რა კარგია მასთან მუშაობა. იცით, იგი მსახიობს სრულ თავისუფლებას აძლევს მოქმედებისას, აზროვნებისას... არ ბოჭავს მსა-

ხიობს, დიდ ანგარიშს უწევს ყოველ ჩვენგანს..

— რეჟისორთაგან კიდევ ვისთან გიყვართ, ვისთან გიტაცებთ მუშაობა.

— მიხეილ თუმანიშვილთან! მხიბლავს მისი ტალანტი, შრომისმოყვარეობა, უდიდესი შრომისმოყვარეობა. თავისუფლად შემიძლია ვთქვა, რომ მიხეილ თუმანიშვილმა, ვით მეცნიერება, იმგვარად შეგვასწავლა ჩვენი დარგი. თითქმის ყველამ გავიარეთ მისი სკოლა: ზოგმა ინსტიტუტში, ზოგმა — სცენაზე...

— თქვენ შთაბეჭდილებებით სავსე დაბრუნდით გასტროლებიდან. ხომ არ გაუზიარებდით ჩვენს მკითხველებსაც?

— შარშანდელი წლიდან დავიწყებ: ჩვენი ქვეყნის გულიდან — მოსკოვიდან. „კავკასიური ცარცის წრე“ ჩავიტანეთ. უნდა გამოგიტყდეთ, ის გასტროლები ფეხბედნიერი გამოდგა. არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ მოსკოვმა გაგვანებივრა, დედაქალაქის მაყურებელმა გულმხურვალედ მიგვიღო. სპექტაკლის მიმდინარეობისას ჩვენთან, კულისებში შემოდიოდნენ თეატრალური მოსკოვის კორიფეები; იულია ბორისოვა, მიხეილ ულიანოვი, მირონოვა, დუროვი, კინორეჟისორი ტარკოვსკი. ისინი გვეუბნებოდნენ, ეს სასწაულიაო, ჰოდა, ამიტომ ვამბობ — გაგვანებივრეს-მეთქი.

— რაც შეეხება გერმანიას?

— ეს უკვე წლეულს იყო... საარბრიუკენი, დიუსელდორფი, ბერლინი...

პირველად ცივად შეგვხვდნენ, მაგრამ, სიცივე მალე აღტაცებამ შეცვალა. ჩვენ ტაშს გვიკრავდნენ ყოველ გამოსვლაზე, ყოველ მოძრაობაზე, ყოველ პანტომიმაზე. პრესა ჩვენს გასტროლებს ქებით ეხმაურებოდა. ჩვენ უკვე გვცნობდნენ ქუჩებში, გვესალმებოდნენ. ჩემი გრუშე ვაჩნაძე, ვგონებ, შეიყვარეს. ერთხელ ახალგაზრდა დედა მოადგა ჩვენი სასტუმროს კარს — ძალიან მინდა ჩემი პაწაწა ცოტა ხანს გრუშე ვაჩნაძე-გიგოშვილმა აიყვანოს ხელშიო... ამაზე თითქოს დაუსრულებლად შემიძლია ლაპარაკი, მაგრამ...

— მაგრამ.. ალბათ ტრადიციულ კითხვას მოელით მომავლის გეგმაზე.

— ეს ტრადიციულიც არის და აუცილებელიც. მაგრამ, მანამდე მინდა ვუთხრა თქვენს მკითხველებს: მე მიყვარს გრუშე ვაჩნაძე, მისი სათნოება, მისი სიბრძნე. ეს დასაწყისში უმწეო ქალი, რარიგ ბრძენდება თავის ტვირთთან ერთად.

რაც შეეხება ჩემთვის ყველაზე მთავარს — მომავლის როლს, ეს როლი ვიშნევსკის პიესა „ოპტიმისტური ტრაგედიიდან“ გახლავთ. ეს ამაღლებული, ეს დრამატული, ეს დაძაბული ნაწარმოები მარად რჩება, ვით ნიმუში რწმენისა, ოპტიმიზმისა, სპექტაკლი თეატრმა დიად იუბილეს — ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წლისთავს უნდა მიუძღვნას.

მოქმედ პირთაგან ერთადერთი ქალია — კომისარი. თუ წილად მისი როლის განსახიერება მხვდა, დიდი ბედნიერება იქნება ჩემთვის! მაშინ ჩემს საყვარელ გმირ ქალებს კიდევ ერთი გმირი მიემატება, გმირი მაღალი, კეთილშობილი, — ამხანაგი კომისარი ოპტიმისტთა ეკიპაჟიდან!..

**ნაზი კილასონია**

„ჩვენს დღეებში, განვითარებული სოციალიზმის ქვეყანაში, რომელიც კომუნიზმის გზას უკვალავს მთელ კაცობრიობას, არ არის და არაფერი შეიძლება იყოს ადამიანზე ძვირფასი, ადამიანზე უმაღლესი, ადამიანზე უმშვენიერესი. ადამიანი ჭეშმარიტად ჩვენი ყველაზე ფასდაუდებელი საუნჯეა, ჩვენი მთავარი, უდიდესი კაპიტალია“.

(საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის მასალებიდან)

# ზაფხული!.. სად, როგორ?..

ყოველი ზაფხული გვიჩენს თავსატეხს— სად დავისვენოთ და როგორ. უმრავლესობის სურვილია — მთელი წლის მანძილზე ნანატრი შვებულება ოჯახის წევრებთან მყუდრო გარემოში გაატაროს. თავისებურია დღევანდელი ცხოვრების რეჟიმი: ძლიერ დატვირთულია, დასაქმებულია ოჯახის თითქმის ყველა წევრი. გადამეტებული არ იქნება თუ ვიტყვით — მათ ენატრებათ ერთმანეთი. ამიტომ მათი საზაფხულო სურვილებიც გასაგებია.

...მაგრამ, როგორ მიგვიწვდება ხელი საოჯახო დასვენების საგზურებზე? იგი მცირედის ხვედრია — ეს არაა დასამალი. რამდენ დედას — მოსამსახურესა თუ დიასახლისს ქცევია ნატვრად: ქმარ-შვილთან დაისვენოს, ცოტა ხნით მოსცილდეს სამზარეულოს, ახლა სხვამ იზრუნოს ვახშამსა და სადილზე, ერთხელ მაინც იფიქრონ მასზე — პატარა ხანს ჩაიმუხლეო, მოლილო ოჯახის დედავ...

თუ ბედმა გაგიღიმათ და იშოვეთ საგზური, ხომ კარგი, თუ არა და...

ბოლოს, ისევ შვილებისათვის უარს ვეღარ ამბობს მშობელი კურორტებზე ჩამოიაროს ეზო-ეზო, ეძიოს შესაფერისი ბინა, შესაფერისი მისი გემოვნებისა და... უფრო შესაძლებლობისა. თუ ერთხელ მაინც უწვნევია მას ოჯახიდან აყრა და კურორტზე, დაქირავებულ კერძო ბინაში ლოგინისა და ჯამ-ჭურჭლის ტარება... იქნებ მეორედ ვეღარ გაბედოს შვებულების გამწარება... მაგრამ თუ მაინც და მაინც გაბედავს, ისევ შვილების გამო. თუმცა იცის, რა ძვირადაც დაუჯდება მადაგალვიძებულ, სინდისზე ხელაღებულ, უავკარგო კერძო ბინების მფლობელთა გაუმაძღარი ჯიბეების ამოვსება, ანდა ჯერ მარტო მისივე დიასახლისის მეწველი ძროხის უზომო ტევადობის ჯიქნიდან (ასობით მდგმური რომ ჰყავდეს, მაინც ყველას გააწვდენს ერთი ძროხის რძეს!..) ჩამოწველილი რძის (რომლის ფასიც ყოველ ზაფხულს ზევ-ზევით მიიწევს) მამასისხლად ყიდვა. დიახ, იცის, ძვირად დაუჯდება — იქნებ მთელი წლის ხელფასის ფასადაც...

ასეთ ზაფხულნაწვნევთათვის, მართლაც, ფასდაუდებელია საოჯახო დასვენების საგზური.

ასეც ხომ ხშირად ხდება: ვაი-ვაგლახით ნაშოვნ დასასვენებელი სახლისა თუ სანატორიუმის საგზურს მხოლოდ უსიამოვნო განცდები მოუტანია დედისათვის. აბა, რა დაასვენებს დედას, რა შედეგი ექნება მკურნალობას, თუ კი მისი ფიქრი თავს დასტრიალებს შინდარჩენილ ან პიონერთა ბანაკს გაყოლილ შვილს, თუ წუხს საგარაკოდ გასულ ბაგა-ბაღში გაგზავნილ ჩვილზე (რამეთუ ჩვენს დასასვენებელ კერათა უმეტესობაში, სხვადასხვა მიზეზთა გამო, უგულებელყოფილია მშობელთათვის შვილების თანხლება).

დაგვეთანხმებით, ფასდაუდებელია დედისათვის საგზურები საოჯახო პანსიონატებისა: კეჩხობისა (ბორჯომი), კვერეთისა, შოვში — „მამისონისა“. აუადჰარასი (აფხაზეთის ასსრ), მახინჯაურში — „მზიურისა“, „მწვანე კონცხისა“, ბათუმში — „ბათუმისა“, ხულოს რაიონში — „ბეშუმისა“, „გუმისთისა“ — სოხუმში დედათა და ბავშვთა დასასვენებელი სახლისა. ჩვენს რესპუბლიკაში ამ ტიპის დასასვენებელ კერებში 23 ათასზე მეტი ადამი-

ანი გაატარებს საკურორტო სეზონს. ისინი 3 121 საწოლს ითვლიან.

მომავალი სიკეთეს გვპირდება: მერმისს კეჩხობში 160-ით გაიზრდება საწოლების რიცხვი. ამ ზაფხულს კი შოვში, პანსიონატ „მამისონში“ 200 დამსვენებლით მეტს მიიღებენ. მკაცრმა ზამთარმა აუადჰარას პანსიონატი დააზიანა. აქ საზაფხულო კორპუსების შემომატებას ფიქრობენ. მომავალ საკურორტო სეზონზე „ბეშუმში“ (ხულოს რაიონი) 200-ის ნაცვლად 400 საწოლი დაიდგმება. ზაფხულის დღეებს ერთად გაატარებენ აქ ოჯახის წევრები — შვილები და მშობლები, ბებიები და ბაბუები.

ვარაუდობენ: წლეულს პანსიონატ „პლატოში“ (ბორჯომი) 1720 დიდი და მოზარდი დაისვენებს; უწერაში, სანატორიუმ „ფაზისში“ რეკონსტრუქციის შემდეგ სამკურნალოდ მიიღებენ 3 300-მდე ავადმყოფს. პირველად ჩვენს რესპუბლიკაში აქ უმკურნალებენ ღვიძლს. კურორტი გამიზნული იქნება ბოტკინგამოვლილთა შემდგომი გაჯანსაღებისათვის და მოემსახურება 400 კაცს. „ფაზისის“ ყველა საგზურები უფასოდ გაიცემა.

ქობულეთში გაისისათვის ფიქრობენ 928 ადგილიანი დასასვენებელი სახლის — „ჰორიზონტის“ გახსნას. ნაბეღლავში დედათა და ბავშვთა სანატორიუმი დამსვენებელს 1979 წელს მიიღებს. საოჯახო დასვენებასა და მკურნალობას ჰპირდებიან წყალტუბოს „გელათში“. ისიც მეათე ხუთწლედის პირმშო იქნება.

ამას წინათ, საქართველოს პროფსაბჭომ მიიღო დადგენილება „საოჯახო დასვენების დაწესებულებათა ქსელის გაფართოების შესახებ“.

„საოჯახო დასვენების გაუმჯობესების მიზნით დედათა და ბავშვთა დასვენებაზე იზრუნებს ტურისტული ბაზებიც. შოვისა და ტბის გარდა ამჯერად შვებულების გატარება შეიძლება ჯავისა და ფასანაურის, ოქროს ნაპირის ტურისტულ ბაზებშიც. საგზურების შეძენა შეუძლიათ მუშა-მოსამსახურეებს თავიანთ პროფკავშირულ ორგანიზაციაში, ოჯახის ყველა წევრისათვის 70 პროცენტით შეღავათიან ფასებში. ადგილკომის გადაწყვეტილებით ნებადართულია საგზურების 10 პროცენტი გაიცეს უფასოდ“, — ამბობს საქართველოს პროფსაბჭოს სახელმწიფო სოციალური დაზღვევის განყოფილების გამგე რ. კაპანელი).

კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები თუ ზრუნავენ დასასვენებელი კერების აშენებისათვის?

— 1972 წელს შეიქმნა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქკოლმეურნეობათაშორისო სანატორიუმების მშენებლობისა და ექსპლუატაციის რესპუბლიკური გაერთიანება „საქკოლმეურნეობათაშორისო სანატორიუმი“ (თავმჯდომარე ვლ. სანიკიძე) სოფლის მეურნეობის მშრომელთა ოჯახების მკურნალობისა და დასვენების მიზნით. მარტო შარშან საირმესა და ლაში-ჭალაში (ცაგერის რაიონი), ურეკში ორი ათასზე მეტმა მშრომელმა დაისვენა სანატორიუმებსა და პანსიონატებში, დასასვენებელ სახლებში. წლეულს მათ რიცხვს მიემატა სიმონეთი (თერჯოლის რაიონი) და გრიგოლეთი (ლანჩხუთის რაიონი). ხუთ ათასამდე მშრომელი დაისვენებს ამ აგარაკებზე მიმდინარე საკურორტო სეზონში. შესანიშნავია მათი გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი სიმდიდრეები. კმაყოფილებას ვეღარ ფარავდნენ ურეკში გატარებული შარშანდელი ზაფხულის გამო საბჭოთა კოსმონავტების ოჯახები.

გულგასახარია პერსპექტიული სია: საოჯახო დასვენების საკურორტო ობიექტებს მოაწყობენ წყალტუბოსა და ბორჯომში, მენჯსა და ბაკურიანში, შოვსა და სკურში (წალენჯიხის რაიონი), კინდღსა (ოჩამჩირის რაიონი) და ა. შ.

...ჩვენი მომავალი თაობის ჯანმრთელობის, გაკაჟებისათვის ილვწიან საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ათი არატუბერკულოზურ და ექვს ტუბერკულოზურ ბავშვთა სანატორიუმებში. დედებისა და შვილების ერთად დასვენებისათვისაც იზრუნეს — წლევანდელი ზაფხული მათ კარს გაუღებს ურეკის პანსიონატიც.

მოზარდთა თანამიმდევრული, სათანადო მკურნალობის მიზნით მთელი სიმწვავით დგება დღის წესრიგში ბავშვთა სანატორიუმებთან სკოლების გახსნის აუცილებლობა. ბავშვთა სანატორიუმებში სწავლის პერიოდში კონტინგენტის სიმცირის გამო სკოლების არასაჭიროდ მიჩნევა, გაუმართლებელია. შემოდგომობითა და ზამთრობით, გაზაფხულობით სანატორიუმებში ბავშვთა სიმცირე ხომ სანატორიუმებთან სკოლების უქონლობით არის გამოწვეული (ბუნებრივია, მშობელი გამოუვალი შემთხვევის გარდა, ერიდება სწავლისაგან ბავშვის ხანგრძლივად მოწყვეტას). არადა სასკოლო ასაკში გარკვეულ დაავადებათა სიმრავლე ბავშვთა სანატორიუმებთან სკოლების გახსნის აუცილებლობას მთელი სიმწვავით აყენებს ზოგიერთ კურორტზე მაინც, კერძოდ, სურამში, ბაკურიანში, ურეკში..

— ჩვენი პარტიისა და მთავრობის მოზარდებზე ზრუნვის ერთ-ერთი გამოხატულება ისიცაა, რომ ბავშვთა სანატორიუმების საგზურები უფასოა, — ამბობს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტების სამმართველოს უფროსი ალ. ძოწენიძე.

ბავშვთა პოლიკლინიკებში პედიატრები უზრუნველყოფენ საგზურით იმ მოზარდს, რომელიც საჭიროებს კურორტოლოგიურ მკურნალობას.

სკკპ XXV ყრილობა მშრომელთა კულტურული დასვენებისათვის ფართო პერსპექტივებს სახავს. მეათე ხუთწლედში სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისათვის გამოინახა ახალი გზები.

„...ეს ღონისძიებანი საავადმყოფოების, პოლიკლინიკების, აგრეთვე გამაჯანსაღებელ-შრომითი და სპორტული ბაზების, დასასვენებელი სახლების, პანსიონატების ქსელის გაფართოებასთან ერთად საშუალებას მოგვცემს, უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის მოთხოვნილება კვალიფიციურ სამედიცინო დახმარებაზე, გავაუმჯობესოთ მშრომელთა დასვენების პირობები და პროფილაქტიკური მუშაობა“, — ითქვა სკკპ XXV ყრილობაზე.

დედათა და ბავშვთა დასვენების ირგვლივ კი ჯერჯერობით ბევრი საკითხი არის გადასაჭრელი.

მშობლებს სანატორიუმებში. დასასვენებელ სახლებში შვილების წაყვანის ნება უნდა დაერთოთ (ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ უდაოდ კარგი საქმე გააკეთა, რომ ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებზე დაუშვა შვილებიანი დამსვენებლებიც). ეს აუცილებელია მათი სულიერი სიმშვიდისათვისაც (ამ მიზნით იქნებ აგარაკზე გასულ ბაგა-ბაღებთან მშობელთა ახლო ყოფნის რაიმე ფორმაც გამონახულიყო). მეორეც: სანატორიუმში ყოფნით ჯანმრთელი პირი სათანადო პროფილაქტიკასაც გაივლის. კიდევ ერთი: ასეთი დასვენება განამტკიცებს ოჯახს (იზოლირებულ ოთახებში, მშვიდ, წყნარ გარემოში შესაძლებელი ხდება აქამდე მათთვის მოუგვარებელ საოჯახო პრობლემათა გადაჭრაც...)

საოჯახო საგზურების გაცემისას ობიექტურობა უნდა იყოს ამოსავალი. ასეც ხომ ხდება — ბავშვებიან მშობლებზე მეტად მათზე მარტოხელებს უფრო მიუწვდებათ ხელი.

...ბავშვები ამ ტიპის დასასვენებელ კერებში ხუთი წლის ასაკიდან დაიშვებიან. ხომ არ არის გადასახედი დებულების ეს მუხლი?

რაც შეეხება საოჯახო პანსიონატებში დასვენების პირობებს, ანგარიშგასაწევია სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა, კვების სპეციფიკა. ბავშვებისათვის უნდა ჰქონდეთ რძე, რძის ნაწარმი, ბოსტნეული (აღარაფერს ვამბობთ ხილზე), ხარისხიანი ხილის წვენები. შესაძლებელი უნდა იყოს სამზარეულოში შეკვეთით სასურველი კერძების მომზადება. აუცილებელია ჰქონდეთ სპორტულ-გამაჯანსაღებელი და სათამაშო მოედნები.

და რაც მთავარია, აქ უნდა სუფევდეს გარემო დედებისა და ბავშვებისათვის ზრუნვისა, პატივისცემისა, სულიერი დასვენებისა, ყველაფერი კეთდებოდეს იმისათვის, რათა შვებულება არ ჩამწარდეს დედას და მან არ შენიშნოს გაგულისებით: „ესეც შენი საოჯახო დასვენება!“...

მართლაცდა, ბევრია ამ მხრივ საფიქრალი, მოსაგვარებელი...

**ნათელა ქიმერიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დაუვიწყარი



მარცხნიდან მარჯვნივ სხედან: ანა ხახუტაშვილი (ცქვიტი), ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა, ეკ. გაბაშვილი, კეკე მესხი. დგანან; ანა ღვინიაშვილი, მარიჯანი, დარია ახვლედიანი, საფო მგელაძე, ნინო ტყეშელაშვილი, ლიდია მეგრელიძე.

(ანა ხახუტაშვილის დაბადების 90 წლის გამო)

ჟურნალ „ნაკადულის“ 1907 წლის სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა ანა ხახუტაშვილის პირველი მოთხრობა „მიტროს გაბედულება“. ამ მოთხრობაში მან ისე სხარტად და საინტერესოდ გადმოსცა ამბავი, რომ იგი რედაქციამ ავტორთან შეუთანხმებლად „ცქვიტის“ ფსევდონიმით გამოაქვეყნა. ამის შემდეგ ანა ხახუტაშვილი ამ ფსევდონიმით საბოლოოდ დამკვიდრდა ჩვენს ლიტერატურაში, როგორც ერთ-ერთი თვალსაჩინო საბავშვო მწერალი.

ანა ხახუტაშვილის ლიტერატურული ენით მოხიბლული იყო თვით დიდი აკაკი. მან ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, მარიამ დემურიას სთხოვა, გამაცანი ეს ახალგაზრდა მწერალი ქალი, ასე გაჩარხული, ლამაზი ენით რომ წერსო. ერთ დღეს მარიამ დემურია და ანა ხახუტაშვილი აკაკის ესტუმრნენ. დიდმა პოეტმა ანას ჰკითხა, სად ისწავლე ასე კარგად წერაო. ანამ მორიდებით და მოკრძალებით უპასუხა მასპინძელს — სოფელში ვცხოვრობ და სოფლელებმა მასწავლესო.

ანა ხახუტაშვილს ნამდვილად ჰქონდა მომადლებული ლამაზი და ემოციური მეტყველების უნარი, მაგრამ მისი მოთხრობების წარმატება მარტო ამით როდი აიხსნება: ანა ხახუტაშვილის ნაწარმოებები ღრმა და ნათელი აზრებით, ცხოვრებისა და ბავშვის ბუნების ღრმა ცოდნით გამოირჩევა.

* * *

ანა ხახუტაშვილი ჩუმი, მშვიდი, უპრეტენზიო, მაგრამ უაღრესად პრინციპული ადამიანი იყო; ძალზე კარგი, საინტერესო, შინაარსიანი საუბარი იცოდა, განსაკუთრებული სიყვარულით და გატაცებით მოგვითხრობდა ხოლმე თავისი სოფლის, მეჯვრისხევის ამბებს.

— ჩვენს ოჯახთან — ხშირად უთქვამს ანას, — დაახლოებული იყვნენ ხალხოსნები, რევოლუციურად განწყობილი ქართველი და რუსი ინტელიგენტები. ერთი მათგანი გორში პეტერბურგიდან იყო გადმოსახლებული, ერთხელ ჰკითხეს, რატომ დაგსაჯესო. წელში გასწორდა, თავი ამაყად ასწია და ხმამაღლა, გაბედულად თქვა: „უბრალო ხალხის სიყვარულის გამო“. მერე დასძინა: „არ არის ადამიანისათვის უფრო მტკიცე მიზანი, ვიდრე ის, რომ ხალხს ემსახურო. მე ყველა ხალხი მიყვარს, და უპირატესობას არავის ვანიჭებ. ეს ბუნების საწინააღმდეგო რამ იქნებოდა“. ასეთი წრფელი, ინტერნაციონალისტური სულისკვეთებით იყვნენ გამსჭვალული ეს ადამიანები. მათი გავლენით გავხდი სახალხო მოძრაობის მონაწილე, ამის გამო, თავის დროზე სიმწარეც მინახავს, შევიწროებაც, დევნაც.

მწერალი ქალი განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით იგონებდა სანდრო კავსაძეს:

— კეთილი კაცი იყო, ტკბილი ხმა და პატიოსანი გული ჰქონდა, როგორც კი გვესტუმრებოდა, მაშინვე ლხინი, ცეკვა-თამაში იმართებოდა. მოვუყრიდი თავს მეზობლის გოგო-ბიჭებს და სულგანაბული ვუსმენდით მის მომაჯადოებელ სიმღერებს.

ანა ხახუტაშვილი, უმთავრესად, ბავშვებისათვის წერდა. იგი ხშირად ხვდებოდა მოზარდებს სკოლებში, პიონერთა ბანაკებში და ყოველთვის მდიდარი შთაბეჭდილებებით ბრუნდებოდა. უნდა გენახათ, რა უცებ გამონახავდა ხოლმე საერთო ენას ბავშვებთან. ირგვლივ ისე ეხვეოდნენ პატარები, თითქოს მათი აღმზრდელი საყვარელი დიდედა ყოფილიყოს. მით უმეტეს, რომ ეს დიდედა ისე წარმტაცად ჰყვებოდა ჩიტების, ტყის, შრომის მადლის, ბავშვების ამბებს... ხშირად შევსწრებივარ მის შეხვედრებს ნორჩ მკითხველებთან და მუდამ მაოცებდა ეს საოცარი ინტიმი მწერლისა, ეს საკვირველი ნიჭი პატარებთან დაახლოებისა, ცოცხალი საუბრისა.

ასეთი იყო იგი თავის მოთხრობებშიც, როცა ბავშვებს უკვე წიგნის ფურცლებიდან ელაპარაკებოდა.

ერთხელ, ბავშვებთან მორიგი შეხვედრიდან რომ ვბრუნდებოდით, მწერალმა მითხრა:

— საბავშვო მწერალმა კარგზეც უნდა წეროს და ცუდზეც, ოღონდ, ისე უნდა წეროს, რომ ბავშვს ცუდი საქციელისადმი პროტესტის. შეურიგებლობის გრძნობა აღეძრას. არა მგონია ბავშვმა წაიკითხოს გრიშაშვილის „ონავარი“ და არ დაგმოს პერსონაჟის საქციელი. —

ანა ხახუტაშვილი მუდამ იმას ამბობდა, მწერალი ღრმად უნდა ჩასწვდეს საგნის არსსა და შინაგან საიდუმლოს, რათა საგანი ცოცხლად აღიწეროს. თუ ბავშვმა წიგნის კითხვისას მოწყენა იგრძნო, თუ ნაწარმოებმა არ გაიტაცა, ასეთი წიგნის ავტორი ამაოდ დამშვრალაო.

ანა ხახუტაშვილი ისე აცნობს თავის პატარა მკითხველებს, საგნებსა და მოვლენებს, რომ ოდნავადაც კი არა ღლის მათს გონებას. ცდილობს მცირე სიუჟეტში შექმნას ტიპობრივი გარემო, ცოცხალი, მეტყველი ხასიათები, საერთოდ კი, იშვიათია თემა, საკითხი, რომელსაც ანა ხახუტაშვილი არ შეხებოდეს. მწერალი დიდი დაკვირვებით ადევნებდა თვალს ბავშვების ყოველდღიურ ცხოვრებას და დიდი ზომიერების გრძნობით ქმნიდა ნაწარმოებებს.

ერთხელ, პატივცემულ ანას ვკითხე, ვინ მიგაჩნიათ საბავშვო მწერლად მეთქი, ვინც შინაგან მოთხოვნილებას გრძნობს ამ მეტად საპატიო და პასუხსაგები საქმის სამსახურისასო, მიპასუხა და დასძინა: მწერლობა ცხოვრების გაუმჯობესების საშუალება როდია. მერკანტილიზმი ხელოვნებაში დამღუპველიაო.

ანა უბრალოდ ცხოვრობდა, საოცრად ეჯავრებოდა ნივთების გაღმერთება, გაფეტიშება, სძულდა ის ადამიანი, რომელიც ყველაფერზე მაღლა თავის პირად ინტერესებს აყენებდა.

1955 წლის შემოდგომაზე მწერალთა კავშირში მოეწყო ჩემი წიგნის „თანამედროვე ქართველი საბავშვო მწერლობის“ განხილვა. სიტყვა ანა ხახუტაშვილმაც წარმოთქვა. პირველად წიგნის ნაკლოვანებებზე ილაპარაკა, შემდეგ კი საბავშვო მწერლობის მიმართ ქართული ლიტერატურული კრიტიკის უყურადღებობას გაუსვა ხაზი. — ჟურნალ-გაზეთებში, — გულისტკივილით თქვა მან, — იშვიათად თუ წააწყდებით კვალიფიციურ რეცენზიას საბავშვო წიგნზე.

კრიტიკის მიმართ მწერლის ამ საყვედურს დღესაც არ დაუკარგავს ძალა.

ვლ. ჯიბუტი



ქ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*პროფ. ირ. ფაღავა,*
*საქართველოს სსრ მეცნიერებათა*
*აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.*

# აღზრდა-ჰიგიენის ზოგიერთი საკითხი ბავშვობის სხვადასხვა პერიოდში

ორგანიზმის სასიცოცხლო პროცესებსა და დაავადებათა წარმოშობა-მიმდინარეობას განსაზღვრავს როგორც გარემოს ზეგავლენა, ისე ადამიანის ინდივიდუალური თვისებები. ბუნებრივია, ისმის კითხვა: რომელი მათგანია უფრო მნიშვნელოვანი? რასაკვირველია, თუ გარემოდან მომდინარე ზეგავლენა ზედმიწევნით მძაფრი და მავნეა, მაშინ მათი როლია გადამწყვეტი. მაგალითად, ძლიერი ფიზიკური დატვირთვა, ყოველთვის დაძაბავს გულის მუშაობას, ახლობლის უბედურებას სევდა მოსდევს, შხამიან მიკრობს — ანთება და ა. შ. როდესაც გარეგანი მავნე ფაქტორი არც თუ ისე მკვეთრია, მეტნაკლებად გამოხატული ავადმყოფური პროცესი მხოლოდ ადამიანთა გარკვეულ ნაწილს უვითარდება. ცხადია, ასეთ შემთხვევებში უფრო მეტი მნიშვნელობა ორგანიზმის ინდივიდუალობას ენიჭება. ადამიანის ინდივიდუალურ თვისებებს, კერძოდ, მიდრეკილებას ამა თუ იმ დაავადებისადმი განსაზღვრავს მემკვიდრეობა, კონსტიტუცია, სქესი და ასაკი. ასაკობრივ ფაქტორს დაავადების წარმოშობასა და მიმდინარეობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მოხუცებულობის და ზრდის პერიოდში, ამასთან, უფრო მეტად, — რაც მცირეა ბავშვის ასაკი. სწორედ ის, რომ ბავშვის დაავადებები განსაკუთრებული თავისებურებებით ხასიათდება, საფუძვლად დაედო მედიცინის ერთ-ერთი ძირითადი დარგის — პედიატრიის ჩამოყალიბებას.

პედიატრიის მიღწევები განსაკუთრებით თვალსაჩინოა ჩვენს ქვეყანაში, სადაც ბავშვთა დაცვას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებამ, რაციონალურ-პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებამ, ეფექტურად მომქმედი სამკურნალო საშუალებების ფართოდ გამოყენებამ მკვეთრად შეამცირა ბავშვთა მწვავე ინფექციური დაავადებების სიხშირე და მათი საბედისწერო შედეგები; ისტორიას ჩაბარდა ყვავილის ეპიდემიები, თითქმის აღარ გვხვდება დიფტერია, პოლიომიელიტი, მენინგიტები კი, უმეტესად კეთილთვისებიანად მიმდინარეობს. მაგრამ ბავშვთა ჯანმრთელობისათვის ზრუნვა მაინც რჩება ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან ყოველ ეპოქასთან სდევს განსხვავებული დაავადებები. ეკონომიკურად წინწასულ ქვეყნებში და საბჭოთა კავშირში გახშირდა ნივთიერებათა ცვლის აშლილობა (დიაბეტი, სიმსუქნე), ალერგიის სხვადასხვა გამოვლინება (ექსუდაციური დიათეზი, ბრონქული ასთმა), ნევროზები. ყურადღებას იქცევს ის ფაქტიც, რომ ბავშვთა შორის აღინიშნება ტენდენცია ისეთი დაავადებების გახშირებისაკენ, რომლებიც წინათ ზრდადასრულებულთა ხვედრი იყო (ჰიპერტონიული დაავადება, გულის მკვებავი სისხლძარღვების დაზიანება, ქრონიკული ფილტვების ანთებები). ამრიგად, ერთგვარ საგანგაშო მდგომარეობას ქმნის არა ანტისანიტარიით გამოწვეული დაავადებები, არამედ ისეთი ავადმყოფური პროცესები, რომლებიც დაკავშირებულია აღზრდის დეფექტებთან, ოჯახში კონფლიქტურ სიტუაციებთან, მშობლიური ალერსის ნაკლებობასთან, ბავშვის ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური ინდივიდუალობის გაუთვალისწინებლობასთან, კვების რეჟიმის დარღვევასთან, არარაციონალურ მედიკამენტურ მკურნალობასთან და ა. შ. ყველა ეს უარყოფითი ზეგავლენა განსხვავებული ინტენსივობით მოქმედებს იმისდა მიხედვით, თუ ბავშვთა ასაკის რომელ პერიოდთან გვაქვს საქმე.

თანამედროვე მეცნიერული პედიატრია არჩევს ზრდა-განვითარების, მუცლად ყოფნის, ახალშობილობის, ძუძუს წოვის, სარძეო კბილების, სიყრმის (სკოლის უმცროსი ასაკი) და სქესობრივი მომწიფების (სკოლის უფროსი ასაკის) პერიოდებს. თითოეული მათგანი თავისებური ფიზიოლოგიური პროცესებით და ამა თუ იმ დაავადებისადმი მიდრეკილებით ხასიათდება, რაც განსხვავებულ ჰიგიენურ-აღმზრდელობით და პროფილაქტიკურ-სამკურნალო ტაქტიკას მოითხოვს.

მუცლადყოფნის პერიოდში ნაყოფი განსაკუთრებულად სწრაფად იზრდება და ვითარდება, ამავე პერიოდში ყალიბდება მემკვიდრეობითი, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ნიშანთვისებები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უმეტეს შემთხვევაში, სრულიადაც არ არის სავალდებულო მემკვიდრეობითი დაავადებების კლინიკური გამოვლინება, თუ გამოყენებული იქნება სათანადო პროფილაქტიკური ღონისძიებანი. ნაყოფის განვითარებისათვის განსაკუთრებით სახიფათოა რადიაციული და მედიკამენტოზური ზემოქმედება, ვირუსული ინფექციები და ორსულის უარყოფითი ემოციები, რასაც ადვილი შესაძლებელია მოჰყვეს აბორტები, სიმახინჯე, ქრომოსომების ცვლილებები. ამავე პერიოდში შეიძლება ჩამოყალიბდეს მზადყოფნა ალერგიული დაავადებებისადმი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ორსული ქალი რეზუსუარყოფითია ან პირველი ჯგუფის სისხლი აქვს. ასეთ ქალებს განსაკუთრებული მეთვალყურეობა უწესდებათ და სათანადო პროფილაქტიკა და მკურნალობა უმეტესად ეფექტურია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალშობილობის პერიოდი ხასიათდება ახალი გარემოსადმი შეგუების პროცესებით. რაც ჯერ კიდევ მოუმწიფებელი სარეგულაციო მექანიზმებით ხორციელდება. გარემო პირობების თვით უმნიშვნელო დარღვევისას ავადმყოფური პროცესები ვითარდება. განსაკუთრებით სახიფათოა სეპსისი, რომელიც ხშირად ხანგრძლივად მიმდინარეობს. თუ ახალშობილს სიყვითლე აღმოაჩნდა. მას მუდმივი მეთვალყურეობა სჭირდება; განსაკუთრებით მაშინ, თუ სიყვითლის მიზეზი დედის და შვილის სისხლის შეუთავსებლობაა. არასათანადო ყურადღების და მკურნალობის შემთხვევაში შეიძლება განვითარდეს ნარჩენი მოვლენები ნერვული სისტემის მხრივ, ან ესა თუ ის ალერგიული დაავადება. ახალშობილის ბუნებრივი კვება და ანტისეპტიკა მისი ჯანმრთელობის შენარჩუნების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

ძუძუს წოვის პერიოდში ბავშვი ინტენსიურად იზრდება და ვითარდება, ხდება ნერვული სისტემის ბევრი ფუნქციის მომწიფება. სამწუხაროდ, უკანასკნელ წლებში შეიმჩნევა ხელოვნური კვების ტენდენცია. ცნობილი ფრანგი პედიატრი შ. მარფანი წერდა, მსოფლიოში ულამაზესი, ქართველი ქალები შვილებს საკუთარი რძით ზრდიანო. სამწუხაროდ, ახლა საქართველოშიც არ არის იშვიათი ის ამბავი, ახალგაზრდა მანდილოსნებს შვილები უმიზეზოდ რომ გადაჰყავთ ხელოვნურ კვებაზე.

რასაკვირველია, ბავშვი ძროხის რძითაც შეიძლება გაიზარდოს, მაგრამ როგორც უკანასკნელი ზუსტი გამოკვლევებით მტკიცდება, ასეთი ბავშვების ფსიქოემოციური სფერო მაინც განსხვავებულია. ბუნებრივი კვება მარტო ფიზიოლოგიური კი არა, ფსიქოლოგიური პროცესიცაა და ხელს უწყობს ბავშვის პიროვნების ჩამოყალიბებას. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დედასთან ხშირ კონტაქტს. ჯერ კიდევ ი. პ. პავლოვის მოწაფეებმა დაამტკიცეს, რომ ბავშვებში, რომლებიც დედებმა გაზარდეს, ექსპერიმენტული ნევროზების განვითარება ვერ ხერხდებოდა. ნევროტიული მდგომარეობა კი ერთ-ერთი წინაპირობაა ფსიქონევრული და შინაგანი ორგანოების დაზიანებისათვის. შემჩნეულია, რომ ფილტვების ანთება ასთმური მოვლენებით ერთ წლამდე ასაკის ბავშვებს იმ შემთხვევაში ემართებათ, როდესაც მათ აკლიათ დედის რძე და დედის ალერსი.

სწორი არ არის შეხედულება, თითქოს რძის შემცირება ან გაქრობა მხოლოდ არასრულფასოვანი კვების ან ფიზიკური დატვირთვის შედეგი იყოს. თუ ჩვენი ერის წარსულს გავიხსენებთ, დავრწმუნდებით, რომ ქალები ფიზიკურად გაცილებით მეტს მუშაობდნენ, ბევრ მათგანს საკვებიც აკლდა, და, სამწუხაროდ, ხშირად მძიმე განცდებიც ჰქონდათ,. მაგრამ ხელოვნური კვება იმ დროისათვის ფრიად იშვიათი მოვლენა იყო. ზოგი ფსიქოლოგისა და ჩვენი დაკვირვებებით იქმნება შთაბეჭდილება, რომ რძის ნაადრევად დაკარგვის მიზეზი შენიღბული უარყოფითი ემოციებია. ეს განცდები ზოგ შემთხვევაში დაკავშირებულია მეუღლის უყურადღებობასთან. უნდა ვეცადოთ, მაქსიმალურად დავუკმაყოფილოთ მეძუძურ ქალს მისთვის დამახასიათებელი სულიერი მოთხოვნილებები. გამრავლების ინსტინქტი სიყვარულისა და დედობრივი მზრუნველობის კომპონენტებისაგან შედგება. ისინი ახალგაზრდა, ჯანმრთელ ქალში ქმნიან ჰარმონიულ კომპლექსს, რომლის დარღვევას პიროვნების არასასურველი მიმართება მოსდევს, ხოლო ამ მიმართებათა დათრგუნვა, ზნეობრივად სრულყოფილ ქალს უმცირებს სხვადასხვა შინაგან ფუნქციებსა და, მათ შორის, რძის გამოყოფას.

სარძეო კბილების პერიოდი დაახლოებით ერთი წლიდან იწყება და გრძელდება 5-6 წლამდე. ამ პერიოდში საფუძველი ეყრება უმაღლესი ნერვული და ფსიქიური პროცესების ჩამოყალიბებას. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სწორ აღზრდას.

აღზრდის უპირველესი მიზანია ადამიანის მორალისა და კულტურისათვის შეუთავსებელი, თანდაყოლილი ინსტინქტების დათრგუნვა, ხოლო ზოგიერთი მათგანის (მაგალითად, სქესობრივი ლტოლვის და სხვ) დაქვემდებარება ადამიანის ეთიკური ნორმებისადმი. ექსპერიმენტებით დამტკიცებულია, რომ შთამბეჭდაობა ძლიერ ადრეულ ასაკში ვითარდება და შეუქცევადი თვისება აქვს. აქედან გამომდინარე, ბავშვი რაც შეიძლება ნაადრევ ასაკში ხშირად უნდა უმზერდეს მშობლების სახეს, ისმენდეს დედის იავნანას, მშობლიურ გარემოს. იცნობდეს სახელოვან წინაპრებს. ყველა ჩვენთაგანს გვახსოვს იაკობ გოგებაშვილის მშვენიერი მოთხრობა „იავნანამ რა ჰქმნა“, სადაც შესანიშნავად არის მოცემული ბავშვობაში განცდილი ემოციის წარუშლელობა და მისი მნიშვნელობა. ბავშვის აღზრდაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და პასუხსაგები ღონისძიებაა მეტყველების განვითარება, რომელიც ბავშვს ერთ ენაზე— დედაენაზე უნდა დავაწყებინოთ. დიდი რუსი პედაგოგი დ. უშინსკი აღნიშნავდა, რომ მეტყველება „გამოხატავს ხალხის სულსა და ტომის აზროვნებას“. მეორე უდიდესი მოაზროვნის, ქირურგის და პედაგოგის ნ. ი. პიროგოვის დაკვირვებებით სხვა ენების ნაადრევი სწავლება საზიანოა ბავშვის ნორმალური ინტელექტუალური განვითარებისათვის და აზროვნებისათვის. მისივე აზრით, უცხო ენების შესწავლა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც დედაენა ღრმა ფესვებს გაიდგამს ბავშვის სულიერ სამყაროში. ასევე შეიძლება ვთქვათ მუსიკისა და, კერძოდ, სიმღერების შესახებ; ადრეული ასაკის ბავშვებს კონცერტებისათვის განკუთვნილი, ხელოვნურად შეთხზული სიმღერები კი არ ესაჭიროებათ, არამედ ხალხურ ინტონაციებზე დაფუძნებული „იავნანა“ და სხვა მარტივი მელოდიები. ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ აღზრდის დეფექტები გავლენას ახდენს ფსიქიკაზეც, და შინაგანი ორგანოების ფუნქციებზეც. არავინ უარყოფს, რომ ალერგიულ დაავადებებს, კერძოდ ბრონქულ ასთმას საფუძვლად უდევს იმუნოლოგიური გადახრები, მაგრამ დაავადების კლინიკურ გამოვლინებას ხშირად წინ უძღვის აღზრდის დეფექტებით გამოწვეული ემოციური სტრესები.

სიყრმის პერიოდში, როდესაც ბავშვი იწყებს სკოლაში სიარულს, ხშირად საქმე გვაქვს აღზრდის დეფექტებთანაც, ბავშვის ძლიერ დატვირთვასთანაც, (მეცადინეობა მუსიკაში, რამდენიმე უცხო ენის შესწავლა და ა. შ.). ამის შედეგად, თუ ნერვული სისტემა ლაბილურია (სუსტია), ადვილად ხდება გადაქანცვა, რასაც შედეგად მოსდევს სხვადასხვა ავადმყოფობა. ამავე ასაკში ბევრ ბავშვს ზედმეტი წონა აქვს, რაც მშობლებს ჯანმრთელობად ეჩვენებათ. სწორედ ასეთ ბავშვებშია მოსალოდნელი ნივთიერებათა ცვლის კიდევ უფრო ღრმა აშლილობა. სკოლის უმცროს პერიოდში, განსაკუთრებით ხშირად გვხვდება ალერგიის სხვადასხვა გამოვლინება, რაც, არც ისე იშვიათად, დაკავშირებულია მედიკამენტების მცდარ გამოყენებასთან, არარაციონალურ აცრებთან და ა. შ.

სქესობრივი მომწიფების პერიოდი ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ადამიანის ცხოვრებაში, როგორც ბიოლოგიური, ისე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ წლებში შეინიშნება სქესობრივი მომწიფების შედარებით ნაადრევი დაწყება (აქსელერაცია). ამ პერიოდში შეიმჩნევა ზედმეტი ემოციურობა, ექსპანსიურობა, თავშეუკავებლობა. სათანადო აღზრდის პირობებში არც თუ იშვიათია სპორტით, პოეზიით, მუსიკით გატაცება, რასაც ყოველმხრივ ხელი უნდა შევუწყოთ, მაშინაც კი, როცა ბავშვი განსაკუთრებულ ნიჭს არ ავლენს. მცდარი პედაგოგიური მიდგომა, მშობლიური ალერსისა და მზრუნველობის დაკლება, ხშირად მიზეზი ხდება ბავშვის მხრივ ანტისოციალური გამოვლინებებისა. სამედიცინო თვალსაზრისით. მეტწილად საქმე გვაქვს ფუნქციური ხასიათის დარღვევებთან, ამავე პერიოდში ხშირად მძიმე ფსიქიური და ნერვული დაავადებები შეიძლება გამოვლინდეს. ხშირია ქრონიკულად მიმდინარე დაავადებების (ტუბერკულოზი, რევმატიზმი. ნეფრიტი და სხვ) გამწვავება. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სრულფასოვან კვებას, ჰიგიენური რეჟიმის მტკიცედ დაცვას, ტურიზმსა და რაციონალურ ფიზკულტურას. მიზანშეწონილია მოზარდის ფსიქონერვული სფეროს სისტემატური კონტროლი.



# იქნებ მკაცრი იყო სასჯელი

სასამართლო მოდის! — გაისმა დარბაზში. ხმაური შეწყდა. შემოსვლისთანავე მოსამართლემ საბრალდებლო სკამისკენ გაიხედა, სადაც ორი ახალგაზრდა იჯდა. ერთ-ერთს, შედარებით მცირეწლოვანს თავი ჩაეღუნა, დარბაზსა და სასამართლოს შემადგენლობას თვალს ვერ უსწორებდა. შემჩნევდით, რომ იგი მწარედ განიცდიდა დანაშაულს. მოსამართლემ დინჯად შეავლო თვალი და გაიფიქრა: — „შეუძლებელია ეს ბიჭი ქურდი იყოს, საცოდაობაა მისი დასჯა!“

ადრე დაობლდა ვ. წ., მამამ მეორე ცოლი შეირთო. პირველ ხანებში დედინაცვალი გერებს ლმობიერად ეპყრობოდა, შემდეგ კი შეიძულა ბავშვები. მამამ და დედინაცვალმა სამი ძმა ბედის ანაბარა მიატოვეს, თვითონ თბილისში გადასახლდნენ. მამამ ყოველგვარი დახმარება შეუწყვიტა შვილებს და თანაც აუკრძალა ბიძასთან მისვლა.

ნასამართლებმა ა. შ-მ ისარგებლა ბავშვების უმეთვალყურეობით და ხშირად აკითხავდა მათ ბინაზე. ერთ საღამოს ვ. წ-ს სთხოვა წაჰყოლოდა „ერთ ადგილზე“. უპატრონო ბავშვის აყოლიება დანაშაულის ჩადენაში ადვილი გახდა და მას აბაიაძის ბინის გაქურდვაში მიაღებინა მონაწილეობა. საქმე მართლმსაჯულებამდე მივიდა.

ქეთევან მეგრელიშვილს დინჯად მიჰყავს პროცესი... იწერება ოქმი — სასამართლოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი. განაჩენი ა. შ-ს მიმართ სამართლიანია, მაგრამ წერეთელი? — აქ მოსამართლე ცოტა შეყოვნდა და მერე ხმას აუწია: — განთავისუფლდეს! — ხალხი კმაყოფილი შეხვდა გადაწყვეტილებას.

ვინ იცის რამდენი დედის, ცოლის თუ შვილის ტკივილი გაიზიარა ქეთევან მეგრელიშვილმა. რომელიც წლების მანძილზე იკვლევს იმ მიზეზებს, რამაც ადამიანს დანაშაულისაკენ უბიძგა. მოსამართლემ კარგად იცის, რომ დიდი ტაქტია საჭირო კაცს ხელი ისე გაუწოდო, ტკივილი არ გაუმწვავო. აქ საჭიროა საქმის ღრმად შესწავლა. უმეთვალყუროდ არ დატოვა ქეთევანმა ვ. წ., დახმარება გაუწია. მას სწამდა, რომ მისგან კარგი ახალგაზრდა დადგებოდა. მეზობლებიც გვერდში ედგნენ ობლებს, ბიძამაც მეტი მზრუნველობა გამოიჩინა და ახლა ისინი წესიერი, კეთილსინდისიერი მოქალაქეები არიან.

გაზაფხულის თბილი საღამოა. ლანჩხუთის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ქეთევან მეგრელიშვილი დინჯად მიუყვება ქუჩას. განვლილმა წლებმა კინოკადრებივით გაირბინა მის თვალწინ. სწავლობდა ლანჩხუთის რაიონის სოფელ სუფსის საშუალო სკოლაში. ბავშვობიდანვე მიეჩვია შრომას, მუყაითმა გოგონამ სკოლაც წარმატებით დაამთავრა. მოწიწებით შეაღო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კარი და საბუთები იურიდიულ ფაკულტეტზე შეიტანა. დაამთავრა უნივერსიტეტი და გულმა მშობლიური ლანჩხუთისაკენ გაუწია. მუშაობა დაიწყო ლანჩხუთის პროკურატურაში გამომძიებლად. ადამიანებისადმი გულისხმიერმა და ჰუმანურმა დამოკიდებულებამ ახალგაზრდა გამომძიებელს მალე მოუხვეჭა სახელი. შემდეგ პროკურორის თანაშემწედ გადაიყვანეს. 1949 წლიდან იგი ლანჩხუთის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეა.

მრავალი ადამიანის ბედი გადაწყვიტა ქეთევან მეგრელიშვილმა, ბევრს გულწრფელად დაეხმარა, სწორი გზა უჩვენა, უამრავ საბრალმდებლო დასკვნას და განაჩენს მოაწერა ხელი. ვინ იცის მერამდენეჯერ შედის სასამართლო დარბაზში და ის დიდი განცდა პირველი განაჩენის გამოტანისა, რომ მიიღო, თან სდევს. „იქნებ მკაცრი იყო სასჯელი?“ — ხშირად ეკითხება იგი თავისთავს. ვინ იცის რამდენჯერ გადახედავს პატიმრის საქმეს, ფურცელ-ფურცელ კითხულობს ყველა დეტალს. განსაკუთრებით ფაქიზად ექცევა ქორწინების შეწყვეტის საკითხებს. აუცილებლობად თვლის ოჯახის აღდგენას. ბევრ ბავშვს დაუბრუნა გზააბნეული მამა.

სიმართლის ძიებაში, ღელვაში გაფრინდა წლები. ნაყოფიერ შრომაში ჩამოყალიბდა ქეთევან მეგრელიშვილის ხასიათი, როგორც საბჭოთა მოსამართლის, სამართლიანი იურისტისა. მუშაობის დაწყებისთანავე ხალხის ინტერესების დაცვა გაიხადა მთავარ საზრუნავად. მშრომელთა არც ერთი განცხადება არ დაუტოვებია უმეთვალყუროდ, მან კარგად იცის, რომ ყოველი განცხადების უკან ადამიანი დგას, რომელიც სამართლიან პასუხს ელის.

ქეთევან მეგრელიშვილი თავის ცოდნას და გამოცდილებას კარგად უთავსებს საზოგადოებრივ საქმიანობას. მას ხშირად შეხვდებით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სადაც რჩევა-დარიგებას აძლევს ამხანაგური სასამართლოს თავმჯდომარეებს. არის ქალთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. ხშირად კითხულობს ლექციებს შრომის კანონმდებლობაზე, დიდ მუშაობას ეწევა სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის. ქეთევანმა იცის, რომ დანაშაულის მიზეზი ზოგჯერ კანონის არცოდნაა. ამიტომ მისი თაოსნობით ეწყობა კითხვა-პასუხის საღამოები ლანჩხუთელ მშრომელებთან, სადაც სახალხო მოსამართლე ღრმად განმარტავს მსოფლიოში ყველაზე სამართლიან, საბჭოთა მართლმსაჯულების კანონებს.

მრავალმხრივი აღმზრდელობითი მუშაობა გასწია ქეთევან მეგრელიშვილმა წარსულის გადმონაშთების დასაძლევად. იბრძვის საზოგადოებისათვის მავნე და დრომოჭმული წესების აღსაკვეთად, თანამშრომლობს ადგილობრივ პრესაში.

სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების საქმეში დამსახურებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ლანჩხუთის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ქეთევან მეგრელიშვილი საპატიო ნიშნის ორდენით დააჯილდოვა.

* * *

შუაღამე გადასულია. ქეთევანის სამუშაო ოთახში სინათლე ანთია. ზის თავდახრილი ქალი და კიდევ ერთხელ ამოწმებს ასჯერ შესწავლილ საქმეს, ხვალ რომ უნდა გაირჩეს...

დილით კი ხალხი კითხულობს: — საქმე ქეთევან მეგრელიშვილის თავმჯდომარეობით განიხილება? — მაშასადამე, განაჩენი სამართლიანი იქნება!

ნუნუ ჩიხრაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კედელი

ძილი ხმაურმა დამიფრთხო. ბინაში რადიო ჩაერთოთ და დედ-მამა ფერდაკარგულები უსმენდნენ. მეორე დღეს რკინიგზის სადგურზე ეშელონი ჩამოდგა. მამა ამ ეშელონს მიჰყვებოდა. მე და დედამ გავაცილეთ იგი. მაშინ მხოლოდ ხუთი წლისა ვიყავი და, აბა, რა ვიცოდი, რომ საყვარელ მშობელს სამუდამოდ ვეთხოვებოდი.

მატარებელი ჩრდილოეთისაკენ გაუდგა გზას. მამა წავიდა და შინ აღარ დაბრუნებულა!

სამამულო ომი რა ხანია დამთავრდა.

წამოვიზარდე. შევეჩვიე ბავშვურ ფიქრებთან მარტოდ ყოფნას, დაუსრულებელი სიხარულის ზმანებებს.

მოსაღამოვდა. ბინაში სიჩუმე ჩამოწვა. დედა თავისთვის ხელსაქმობს, მე სარკმელთან ვდგავარ და ქუჩას გავყურებ. ქუჩა მუდამ მოფუსფუსე ხალხით არის სავსე. მანქანები დაუსრულებლად დაჭრიან. მიყვარს ამ სარკმლიდან მზერა. თითქოს მთელი ქალაქი იშლება ჩემს თვალწინ. მიდი-მოდიან ადამიანები. ზოგს სად მიეჩქარება, ზოგს — სად.

— თამრო! გაკვეთილები მოამზადე? — შემომესმა დედის ხმა.

— დიახ, რა ხანია, — ვუპასუხე ჩურჩულით. სათამაშოებიდან დიდი დედოფალა შემომცინოდა. სწრაფად შემოვბრუნდი, ფორტეპიანოს მივუჯექ და ჩაიკოვსკის „ახალი თოჯინა“ დავუკარი...

ზარმა დაიწკრიალა. დედა სწრაფად წამოდგა. კართან მიიჭრა. ზღურბლზე ისევ ის ახმახი მამაკაცი აღიმართა, დაუპატიჟებელი სტუმარი რომ შევარქვი. ნახევრად მოჭუტული თვალებით შემომცქეროდა. თავი დამიკრა. გაქვავებული ვიდექ ადგილზე. ტუჩების კუთხეებით უღიმოდა დედაჩემს. დედას გუნება სწრაფად შეეცვალა, გამხიარულდა. სტუმარს დაგვიანების მიზეზი მოჰკითხა.

— თამრო! შენი ადგილი აქ არ არის! — მითხრა დედამ.

მე უხმოდ გადავდგი ნაბიჯი და მშობლის ბრძანება მორჩილად შევასრულე.

სიხარულის შენობა ერთი სულის შებერვით დამენგრა. ოცნებათა ვარდისფერი ფთილები გაიფანტა. ალერსიანი დედა გულჩათხრობილი, ცივი, მიუკარებელი გახდა. ძალაუნებურად მევე შევიქენი ჩემი თავის ბატონ-პატრონი. პატარა გამოუცდელი ხელები დაუსრულებლად შრომობენ. დედა, რომელიც უზრუნველ ცხოვრებას იყო მიჩვეული, ერთბაშად დაიბნა. ცალად დარჩენილმა ნელ-ნელა დაიწყო მამისეული ნივთების გაყიდვა.

ახლა წიგნები და მუსიკა გახდა ჩემი ცხოვრების განუყრელი თანამგზავრი, ისინი მიქარვებდნენ დარდს და მამხნევებდნენ. დედობასაც მიწევდნენ და მამობასაც.

უჩინარი ბზარი თანდათან ღრმავდა. დედა-შვილს შორის აღიმართა მაღალი კედელი, კედელი, რომელიც ერთმანეთს გვაშორებდა. ბზარის მიზეზი ის ახმახი კაცი იყო, ყოველ ცისმარე დღეს ჩვენს ჭერქვეშ თავისუფლად რომ შემოაბიჯებდა და დედას მამის დანატოვარს ცინცლავდა. მე კი მარტოდ ვიყავი ჩემს წიგნებთან, ჩემს ფიქრებთან და ვგრძნობდი, როგორ ნელ-ნელა მიცივდებოდა დედისადმი გული.

უკვე ქალიშვილი ვარ, სტუდენტი. გადაწყდა. ვერ ავიტანე მამის ღირსების შელახვა, მის ნაფეხურებზე სხვა მამაკაცის თამამი ნაბიჯები და დედას დავემშვიდობე. მისამართი შევიცვალე. ვცხოვრობ პატარა ოთახში. ჩემი ბედის ხომალდს მე თვით ვუძღვები და მაინც მარტო არა ვარ. ყურადღებას არ მაკლებენ ნათესავები, ინსტიტუტის ამხანაგები.

თითქოს შვება იგრძნოო, ამ გაბედულ გადაწყვეტილებას დედა არ გამოეხმაურა. არც უკითხავს ჩემი ამბავი. ტვირთი მოიხსნა და ამოისუნთქა. საშუალება მიეცა „თავისუფლად, ბედნიერად იცხოვროს“... მაგრამ ჰქვია კი შვილის ალერსს მოკლებული დედის ცხოვრებას ბედნიერება?

ასე მიდიოდა წლები.

... მძიმე ნაბიჯით მოვყვები ნაცნობ კიბეებს. რამდენი წელი გავიდა, რაც აქ ფეხი არ დამიდგამს. უდარდელ ბავშვობაში კი რამდენჯერ ამირბენ-ჩამირბენია ეს დაუსრულებელი საფეხურები. გული საშინლად მიცემს. სახელურს ვეხები და კარს ფრთხილად ვაღებ. ოთახში მკრთალი შუქი ლიცლიცებს. თეთრად გადაპენტილ საწოლზე მძიმე სუნთქვა ისმის. რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი და შევცქერი დედას, შევცქერი გაოგნებული სახით, შიშიც მიკრთის და მოკრძალებაც, სიყვარულიც, დედის სიყვარულიც, მაგრამ ყველაფერი ერთმანეთშია არეული. ავადმყოფმა თვალები უაზროდ მომაპყრო, თითქოს სუნთქვაც შეეკრა. მის ჩამქრალ სახეზე ვერაფერი ამოვიკითხე. პირისპირ შევყურებდით ერთმანეთს.

— დედა! — ძლივს გასაგონი ხმით წარმოვთქვი. — დედა! — მდუმარე კედლებიდანაც მომესმა ექო. ქალი სარეცელზე იწვა, სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე იყო და უნახავი შვილის მზერამაც კი ვერ აათრთოლა იგი.

გვიანი ღამეა. გარეთ წვიმს და მონოტონური წვიმის წვეთები სარკმელს ცრემლებად ეღვენთება. ვდგავარ ჩემი ბავშვობის საყვარელ ფანჯარასთან და ისევ გავცქერი ქუჩას. ამ შუალამისას ადამიანები აქა-იქ კანტიკუნტად გამოჩნდებიან ხოლმე. აი ვიღაც ჩქარი ნაბიჯით მიუახლოვდა ტროლეიბუსს. ასასვლელზე ფეხი დაუცურდა. ახალგაზრდა ვაჟი მიეშველა და ტროლეიბუსიც დაიძრა. ასეა ცხოვრებაც. ადამიანი ჯარასავით ტრიალებს და ამ ტრიალში ხან სად ჩაიმუხლებს, ხან სად.

ოთახს მშვიდად მოვავლე თვალი. ყველაფერი თითქოს უცხოა და თან მახლობელიც. და ეს ნაცნობი ნივთები ჩემ წინაშე დგანან როგორც უთქმელი საყვედურები. დღეს იმ ჭერის სტუმარი ვარ, სადაც დავიბადე, ფეხი ავიდგი და ჩემი ბავშვობის წლები გავატარე. დარჩა მხოლოდ მოგონება, მოგონება ნაღველშერეული. ახლა კი ამ მშობლიურ კედლებში სიკვდილის ფერმკრთალი შიში ჩემ თვალწინ დათარეშობს.

დედას გვერდით მივუჯექ, მისი მძიმე სუნთქვა საათივით ზომავს დროს. ორი უმოძრაო თვალი გამჭვალავად შემომყურებს, მიმზერს და ვერ ამოიკითხავთ, მონანიებას ითხოვს თუ მკიცხავს, მტუქსავს თუ მეფერება. და აი, მაშინ მწვავედ ვიგრძენი, როგორ დავიგვიანე...

სანთელივით გალღვა ფიქრები. კედელს თვალი მოვავლე და უეცრად მზერა ერთ წერტილზე შევაჩერე. დიდხანს ვიდექი უძრავად. თითქოს გაცოცხლდა წარსული...

მაშინ ეს დარბაზი გაჩირაღდნებული იყო. სამზარეულოში დედა და დეიდა ფუსფუსებდნენ. ჩემი პატარა მეგობრები უკვე შეიკრიბნენ და დაბადების დღეს მილოცავდნენ. უცებ კარი გაიღო და, მამიკო ფერად-ფერადი ბურთებით შემოვიდა. ო, რა სიხარული იყო ეს ჩემთვის! მამამ სასწრაფოდ კედლის თვალსაჩინო ადგილას პატარა ლურსმანი მიაჭედა და ზედ ბურთები დამჰკიდა, რამაც საზეიმო ელფერი შემატა ოთახს. სიხარულით ტაშს ვუკრავდით ბავშვები,

დროთა სვლაში გახუნდნენ ოთახის კედლები. ფერადი ბურთებისათვის განკუთვნილ ლურსმანს კი ჟანგი არ მოჰკიდებია. ამ ცივ გარემოში გადარჩენილა უდარდელი ბავშვობის ტკბილად მოსაგონარი, მამის ხელით მიჭედებული პაწია ლურსმანი. და აი ახლა, როცა დედის მძიმე სუნთქვა მესმის, მინდა ეს მოგონებები არ დამთავრდეს, დიდხანს, ძალიან დიდხანს შემომცქეროდეს დაუჟანგავი პაწია წერტილი.

... დედა კიბეებზე ჩავაცილე. მის წინაშე უკანასკნელი ვალი მოვიხადე და იმ დღეს მახლობლებმა სამარადისო განსვენების ერთი ბორცვი აღმართეს. ბორცვთან ერთხანს გაქვავებული ვიდექ ჩემს მძიმე განცდებთან, ფიქრებთან განმარტოებული. ის ახმახი მამაკაციც იქ ტრიალებდა. მე უხმოდ შემოვბრუნდი და ჩემი გზა განვაგრძე.

ეთერ ჯაფარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა





## ჩვენი პრიზიორები

# სამზეო

ისინი რედაქციაში მოვიწვიეთ:
კინორეჟისორი სოსო ჩხაიძე,
მსახიობი ირაკლი ხიზანიშვილი,
თუში მეცხვარე იობი ბართიშვილი და ზემო ალვანის მეხუთე კლასის მოსწავლე რამაზ სულაკაური.

მათთან შეხვედრა საინტერესო იყო: ჩვენ ვესაუბრეთ ადამიანებს, რომლებმაც აგვაღელვეს ფილმით „თუში მეცხვარე“. ვფიქრობთ, მკითხველისათვის უკვე ნაცნობი და ახლობელია იგი. ფილმი საქართველოს ტელეფილმების სტუდიაში შეიქმნა (რეჟისორი სოსო ჩხაიძე, სცენარისტები: ამირან ჭიჭინაძე, დევი ივანოვ-ჩიქოვანი, ვალერიან სულაკაური და სოსო ჩხაიძე. ოპერატორი ირაკლი ონოფრიშვილი, მხატვარი ვახტანგ რურუა, კომპოზიტორი გურამ ბზვანელი). „თუში მეცხვარე“ საქართველოს ტელევიზიამ უჩვენა და პირველსავე დღეებში უამრავი ბარათი მოვიდა დამდგმელი კოლექტივის სახელზე — ბარათები სავსე მადლობითა და აღფრთოვანებით. ეს გასაგებიც არის: ფილმმა ხომ უდიდესი სიმართლით წარმოაჩინა ქართველი მეცხვარის ცხოვრება, მისი ძნელსავალი გზა. მაგრამ ამ გზაზე სინათლის სვეტად ეშვება ურთიერთგამტანობა, ვაჟკაცობა, შემართება და, რაც მთავარია, შრომით მოპოვებული გამარჯვება. ქართველმა მაყურებელმა ნახა ფილმი-ცხოვრება, აყვანილი მაღალი ხელოვნების დონემდე. საინტერესოა, რომ ფილმში თუში მეცხვარეები თავად „თამაშობენ“ როლებს.

—აბა,სათამაშო რა იყო? რასაც ადრე ვაკეთებდით, ის გავაკეთეთ ახლაც! — გვითხრა იობი ბართიშვილმა. რედაქციაში მას „გიორგის“ ვუწოდებდით, სხვანაირად არც შეგვეძლო მიგვემართა.

— ბატონო გიორგი, კმაყოფილი ხართ ფილმით?

თუშმა მეცხვარემ მომენტით ისარგებლა და, შეიძლება, პირველად უთხრა მადლობა რეჟისორს, უთხრა ძუნწად: „მადლობელი ვარ, რომ ჩვენ, თუში მეცხვარეები სამზეოზე გამოგვიყვანე“.

რეჟისორ სოსო ჩხაიძის საუბრიდან ნათლად გამოჩნდა, თუ რაოდენ რთული იყო სამზეოზე ეს გამოყვანა. ფილმი სამი წლის განმავლობაში იქმნებოდა, სამი წლის განმავლობაში ცხოვრობდა გადამღები ჯგუფი მთა-თუშეთის ცხოვრებით, გმირი მეცხვარეების ცხოვრებით, კეთილი, გამრჯე თუში ადამიანების ცხოვრებით... მაგრამ, ცხოვრებასთან ერთად, ისინი ხორცს ასხამენ სცენარს. ომალო, დიკლო, შენაქო, საძოვრები, ულელტეხილები: თორღვა და ყადორი, თოვლიანი მწვერვალები, დაქანებული ჩანჩქერები, პატრონს მომლოდინე სოფლები, ფარები, მტერი და მოყვარე ცხვრისა — ამ ჩვენი ბარაქისა... მადლობის მეტი რა გვეთქმოდა ჩვენი სტუმრებისათვის, რომელთა შემოქმედებამ აღელვებასთან ერთად აგვამაღლა!..

„პირადი ცხოვრება კარგია, მაგრამ არის ამაზე უკეთესი მაღალი!“ — დინჯად თქვა გიორგიმ. და, რა ბედნიერებაა, როცა ეს სიმაღლე ამშვენებს კაცთა ცხოვრებას! ამ მართალ სიმაღლეზე ვჭვრეტდით ახლა „თუში მეცხვარის“ შემოქმედ კოლექტივს, მათ შორის ფილმის ყველაზე პატარა გმირსაც ზურიკოს (რამაზ სულაკაური). ზურიკო გაბედულად მოგვიყვა თავისი ოჯახის, და-ძმის, სკოლის, ამხანაგების ამბავს, გვიამბო, როგორ შეარჩიეს იგი ზურიკოს როლში სათამაშოდ. მერე „გამოგვიტყდა“— ლექსებს ვწერო. ერთი „საიდუმლოც“ გაგვანდო — ყველაზე მეტად ლექსო ძია (ირაკლი ხიზანიშვილი) მიყვარსო.

ჩვენ, დიდი სიამოვნებით გადავეცით რეჟისორს სოსო ჩხაიძეს ჟურნალ „საქართველოს ქალის“ პრიზი საუკეთესო ნამუშევრისათვის, — რომელიც წლეულს „თუშმა მეცხვარემ“ ღირსეულად მოიპოვა.

ნ. გიორგაძე

# ႰႥႠ ႘ႥႨႪႨႱ ႣႤႣႠ

ფიცრული სახლი ედგა და სასახლე არასოდეს უნატრია, უბრალო ჩითის ხალათი ეცვა და ფარჩის შეძენაზე არასოდეს უფიქრია... იჯდა ბუხართან და ჩვილის აკვანს არწევდა... ერთი რომ თამამი ნაბიჯებით დადიოდა, მეორე ფეხს იდგამდა, მესამე ტუჩების ცმაცუნით დედის ძუძუს ეძებდა. მაშინაც ქმრის ნაჩუქარი თეთრი თავსაფარი ჰქონდა წაკრული, რომელიც ბედნიერი ქალის დამამშვენებელ სიმბოლოდ დღემდე გამოჰყვა. ბედნიერი ხელი ჰქონია იულონს — ამბობს თავის აწ განსვენებულ ქმარზე გულრიფშის რაიონის სოფელ ქვემო ფშაფში მცხოვრები ჟიჟინო ღვინჯილია და თავსაფარს სათუთად ისკვნის.

ხელის ჩაქნევასავით გამქრალ დღეებს მისი ახალგაზრდული წლები ყველაზე სათუთ მოსაგონრად შემოუნახავს... მისი გონება ხანდისხან მეგრულ ტაბლასთან შემომსხდარ ბავშვებსაც გასწვდება, რომელთა ტანსაცმლის ამორჩევასა და ჩაცმას არ სჭირდებოდა დიდი დრო, მაგრამ მაინც ლამაზები იყვნენ, ნიჭიერები და შრომისმოყვარენი.

ყველაზე დიდი სიხარული ახალგაზრდა დედისათვის აკვანში ახლადგამოღვიძებული ბავშვის თვალის შემონათება და მის მიერ დაძახებული დედაა, მაგრამ ჟიჟინოსათვის უფრო ბედნიერება ქალიშვილის ომიდან დაბრუნება და ვაჟიშვილის — ვალოდიას სამედიცინო ინსტიტუტში ჩარიცხვა იყო. მშობელს სჯეროდა, რომ მისი ბეჯითი შვილი არ შეარცხვენდა. მშობლის იმედი გამართლდა. მოწინავე სტუდენტი ასპირანტურაში დატოვეს..

— ჩამოდი, შვილო, უასპირანტუროდაც გამოადგები ჩვენს ხალხს, — წერდა ის შვილს, მაგრამ დედის ვედრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა სწავლის წყურვილმა გადასწონა...

ამ ოთხიოდე წლის წინათ „კომსომოლსკაია პრავდა“ ჩვენი თანამემამულის ვალოდია ღვინჯილიას მიერ ჩატარებული მეტად სერიოზული ოპერაციის წარმატებით დამთავრებას იტყობინებოდა. დიდი სიხარული იყო იმ დღეს ღვინჯილიების ოჯახში, — მათმა შვილმა რუს ქალს შვილის სიცოცხლე აჩუქა.

დილაა. ხმაურობს სოფელი თავისი გამოულეველი საქმეებით. მას კი ჩვეჯად აქვს, საქონლის გარეკვის შემდეგ ჭიშკართან შეისვენოს, შორს იხედება, იქნებ რვიდან რომელიმეს ძველი ბუდის ნახვა მოენატროსო, ხანდახან მზერას აყოლებს ახალგაზრდული ნაბიჯებით მიმავალთ, ნაღვლობს, რომ მათებრ არ შეუძლია, ძველებურად მუხლი არ ერჩის და ხელები არ ემორჩილება. სამაგიეროდ, დედური სითბო კი ერთობ მოსჭარბებია, მთელი არსებით აჩრდილივით თავს ადგას იაროსლავლის სამედიცინო ინსტიტუტის კათედრასთან თავდახრილ ლექტორ ვაჟიშვილს, ბაბუშარის საშუალო და ზემო ფშავის რვაწლიან სკოლებში ბავშვებზე მზრუნველ ქალიშვილებსა და სოხუმის საქალაქო საავადმყოფოსაკენ აჩქარებული ნაბიჯებით მიმავალ ექიმს, სამამულო ომიდან დაბრუნებულ ექთან ქალიშვილს, მძღოლ ვაჟიშვილსა და მოდელიორ-მკერავ ქალიშვილს.

ქუჩაში მიდის თეთრთავსაფრიანი ქალი, განსაკუთრებული ჩაცმულობით არ გამოირჩევა, მაგრამ მის უბრალოებაში სიამაყეს შენიშნავთ.

**თალიკო აკობია,**
გულრიფშის რაიონული გაზეთის „დროშის“ თანამშრომელი.



# გინდათ გაზდეთ?

დიეტა დიეტაა, მაგრამ ფიზიკური დატვირთვაც აუცილებელია. აი რამდენიმე ვარჯიში მათთვის, ვისაც გახდომა სურს.

**მუცლისათვის:** დაჯექით ნოხზე. დაეყრდენით ხელებს. გაშოტილი ფეხები ტყუპად ასწიეთ და ნელი-ნელ დაუშვით. დაშვებისას ფეხებს იატაკს ნუ შეახებთ, გააჩერეთ იატაკის ჰორიზონტალურად. შემდეგ ისე ასწიეთ, რაც შეიძლება მაღლა. შეასრულეთ ხუთჯერ, შეისვენეთ და კვლავ გაიმეორეთ.

**წელისათვის.** დადექით მუხლებზე, გააკეთეთ დოინჯი — (ხელები წელზე). ასწიეთ ცალი ხელი თავზემოთ და ძლიერ გადაიხარეთ გვერდზე, იგივე გაიმეორეთ მეორე ხელით. შეასრულეთ 5-ჯერ, დაისვენეთ და ისევ გაიმეორეთ.

**თეძოებისათვის:** დადექით მუხლებზე. ფეხები უკან მიატყუპეთ, ტანი სწორად დაიკავეთ, ხელები თეძოებზე მიიკარით. უკან გადაიზნიქეთ და სცადეთ ცოტახანს გააჩეროთ სხეული ასეთ მდგომარეობაში. გაიმეორეთ 10-15-ჯერ.

## სილამაზის მენიუ

ზაფხულში უხვადაა ქორფა ბოსტნეული, მისგან შეიძლება მოამზადოთ ორიგინალური სალათები ხაჭოთი. ეს სალათები გემრიელიცაა და სასარგებლოც. კოსმეტოლოგების აზრით ასეთი საუზმე ძალიან კარგად მოქმედებს სახის ფერზე. აბა, სინჯეთ!

**პამიდორის სალათი ხაჭოთი.** ორი სუფრის კოვზი ახალი ხაჭო, ერთი სუფრის კოვზი რძე, ერთი ჩაის კოვზი მზესუმზირას ზეთი, ერთი ცალი დაჭრილი პამიდორი ერთმანეთში აურიეთ, მოაყარეთ მარილი და მიირთვით.

**კიტრის სალათი ხაჭოთი.** ორი სუფრის კოვზი ხაჭო, 1 სუფრის კოვზი ზეთი, მსხვილ სახეხზე გახეხილი ერთი კიტრი, ცოტა დაჭრილი ოხრახუში ერთმანეთში აურიეთ და დაუმატეთ მარილი.

ეს წესი თქვენთვის უკვე გასაგებია: ხაჭო რძით უნდა გაათხელოთ, დაუმატოთ მცენარეულის ზეთი და ჩააჭრათ რაიმე ბოსტნეული—ბულგარული პილპილი, ბოლოკი, სტაფილო, მოკლედ ყველაფერი, რაც ხელთ გექნებათ.

რჩევები

# ცოტა რამ პურის შესახებ

ყველას გვიყვარს ახალი, რბილი, ცხელი პური. მაგრამ ბევრად სასარგებლოა, თუ იგი წინადღისაა. ამიტომაც ექიმები გვირჩევენ ახალი პური ოდნავ გამოვაშროთ, ძველი კი, პირიქით, გავაახლოთ. გავხუხოთ. ყველაზე სასარგებლო გახუხული პურია.

თეთრი პური მალე ძველდება. შავი კი, თუ მას თეთრ პურთან არ შევინახავთ, ჩავდებთ საპურეში, ღრმა თეფშში, რომელსაც ხელსაწმენდს დავაფარებთ, ან ცელოფანის პარკში, რამდენიმე დღე არ დაძველდება და გემოსაც კარგად შეინარჩუნებს.

პურის მზეზე დადება არ შეიძლება. მას არც სიცივე უყვარს. ყველას ჯობია ჩვეულებრივი, ოთახის ტემპერატურა.

ნუ ჩადებთ პურს ჩანთაში სხვა პროდუქტებთან ერთად. მისთვის ცალკე შეიძინეთ სპეციალური პოლიეთილენის პარკი.

არც ჩვეულებრივი სუფრავარგა უპუროდ და არც სადღესასწაულო. პური კოხტა, სიფრიფანა ნაჭრებად უნდა დაჭრათ და საპურეზე ან სპეციალურ თეფშებზე დაალაგოთ. ბატონს განდაგან ჭრიან. ჩვეულებრივი ფორმის პურს კი ჯერ შუაზე გაჭრიან, შემდეგ კი თხელ ნაჭრებად. ყუას, ნარჩენ ნაჭრებსა და გახუხულ პურს სტუმრებს ნუ მიართმევთ. საზეიმო მიღებებსა და ბანკეტებზე პურს პაწია თეფშებზე ალაგებენ და სტუმრებს სათითაოდ უდგამენ.

პურს საპურიდან ხელით იღებენ. ჩანგლით აღება არ შეიძლება. პურს რომ გადაიღებთ, ლუკმებად ნუ დაჭრით, ნურც მოკბიჩავთ, ხელით მოატეხეთ და ისე ჩაიდეთ პირში.

წვნიანში პურის ჩაფშვნა ან თეფშიდან ნამცეცების აღება უხერხული და ულამაზოა.

## მიირთვით, შეგარგოთ!

### კუჭმაჭი ქინძით

ორი შინაური ფრინველის თავი, ფეხები, კისერი, კუჭი, ღვიძლი, ფრთის წვერები კარგად გარეცხეთ, დაჭერით, მოათავსეთ ქვაბში და მოშუშეთ; ხანგამოშვებით ცოტ-ცოტა მდუღარე წყალი უმატეთ. მოშუშულ კუჭმაჭს მოაყარეთ წვრილად დაჭრილი 4 თავი ხახვი, უყავით კარაქი (100 გრამი) და ერთად მოხრაკეთ. მოხრაკვის დროს მოაყარეთ ერთი სუფრის კოვზი სიმინდის ან პურის ფქვილი და დაუმატეთ 50 გრამი კარაქი. ამის შემდეგ დაასხით კიდევ ნახევარი ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი, ძალიან წვრილად დაჭრილი ქინძი (1-2 ჩაის ჭიქა), გემოვნებით დაფქული პილპილი ან დანაყილი წიწაკა, მარილი და 5 წუთის შემდეგ გადმოდგით ცეცხლიდან.

### კუჭმაჭის შილაფლავი

ორი შინაური ფრინველის კუჭმაჭი (თავი, ფეხები, კისერი, კუჭი, ღვიძლი, გული, ფრთის წვერები) დაჭერით თავის ცხიმიანად, მოათავსეთ ქვაბში, დაასხით მდუღარე წყალი, იმდენი, რომ კარგად დაფაროს და მოხარშეთ. ხარშვის დროს დაუმატეთ შუაში გაჭრილი ერთი თავი ხახვი, გადარჩეული, გარეცხილი ნახევარი ჩაის ჭიქა ბრინჯი და ხარშეთ შემზადებამდე. ხარშვის დასასრულს შეაზავეთ დაფქვილი პილპილით, ზირითა და მარილით.

### სურნელოვანი კუჭმაჭი

ორი შინაური ფრინველის მოხარშული კუჭმაჭი (კუჭი, ღვიძლი, გული, ფეხები, ფრთის წვერები) დაჭერით წვრილად. ფეხები და ფრთის წვერები დაჩეხეთ. ცხელცხელს შეურიეთ დანაყილი წიწაკა, დაფქვილი პილპილი, დანაყილი ქინძის თესლი. გამხმარი ქონდარი, მარილი და ერთი სუფრის კოვზი ღვინის ძმარი (გემოვნებით).

ქინძის თესლისა და გამხმარი ქონდარის მაგიერ შეგიძლიათ იხმაროთ ნედლი ქინძი და ქონდარი (მარილთან ერთად კარგად დანაყილი).

### მოშუშული ჭარხლის ფოთოლი

გადარჩეული, გარეცხილი ჭარხლის ფოთოლი თავისი ნორჩი წვრილი ძირხვენით (1 კილოგრამი) მოათავსეთ ქვაბში, დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი, ქვაბს დაახურეთ სახურავი და მოხარშეთ. მოხარშული ჭარხლის ფოთოლი ძირხვენიანად გადაიტანეთ თუშფალანგში, შეაგრილეთ, გაწურეთ და დაჭერით.

წვრილად დაჭრილი ხახვი (4-5 თავი) მოათავსეთ ტაფაზე და კარაქში ან მცენარეულ ზეთში (100 გრამი) და ერთად მოშუშეთ. მოშუშვის დროს უყავით მარილი, შეურიეთ თქვენს გემოზე დაჭრილი მწვანილი (ქინძი, ოხრახუში, ნიახური, კამა).

თუ გსურთ, მოშუშვის დროს დაუმატეთ სამი კვერცხი ცილიან-გულიანად.

ასეთივე წესით მზადდება ბოლოკის ფოთოლი.

### ატამი ნიგვზით

მოხალული ნიგოზი დანაყეთ, დაუმატეთ გემოვნებით შაქრის ფქვილი და ერთმანეთში აურიეთ.

ძალიან მწიფე კანგაცლილი ატამი კარგად აზილეთ. დაუმატეთ გამზადებული ნიგოზი და კარგად აურიეთ.

შაქრისა და წყლისაგან მოხარშეთ სიროფი.

ერთნაირი სიდიდის მწიფე, მაგრამ მაგარი ატამი (რამდენიც გსურთ) რამდენიმე წამით მდუღარე წყალში მოათავსეთ, შემდეგ სწრაფად გადაიტანეთ ცივ წყალში, ამოიღეთ და მოაცილეთ კანი. ამოაცალეთ კურკა, ოღონდ ატამი არ დაზიანდეს. ასეთნაირად გამზადებული ატმის თავისუფალი სივრცე ამოავსეთ ნიგოზ-ატმიანი სატენით, მოათავსეთ შესაფერ ჭურჭელზე, გემოვნების მიხედვით დაასხით სიროფი და შედგით მაცივარში. სუფრაზე მიტანისას ზემოდან მოასხით არაყი ან კონიაკი (გემოვნებით).

თამარ სულაქველიძე

გარეკანის პირველ გვერდზე — ზურიკო — რამაზ სულაკაური — სატელევიზიო კინოფილმიდან „თუში მეცხვარე“; მეოთხე გვერდზე — მარელისის ბრეხილი ავეჯის ფაბრიკის მოწინავე მედაზგე ია შარიქაძე.

დ. იაკობაშვილის ფერადი სლაიდები


| რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი | სარედ. კოლეგია: ნ. ბურბენიძე, ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაფარიძე (პ. მგ. მდივანი) ტექრედაქტორი ნ. ბუკია | საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა |
|---|---|---|

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №, № რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საქმეთამმართველის — 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 4/V-77 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/VI-77 წ., ქაღალდის ზომა $60 \times 90^1/_3$, ფიზიკურინაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3 ტირაჟი 123 000. შეკვ. 1582 უე 00727 ფასი 30 კაპ.

# მოდა



როგორც ცნობილია, ბავშვის ტანსაცმელზე დროდადრო მოზრდილთა მოდა ახდენს გავლენას. ამ გავლენის წყალობით უკვე რამდენიმე წელია ფეხი მტკიცედ მოიკიდა რამდენიმე ნაწილისაგან შემდგარმა კომპლექტებმა და გოგონების შარვლებმა, როგორც თანამედროვე ჩაცმულობის ერთ-ერთმა უაღრესად პრაქტიკულმა და მოხერხებულმა სახემ, სადაც საჭიროების მიხედვით ადვილად ენაცვლება ერთმანეთს შარვალი — ქვედა ბოლოს, კაბა სარაფანი — ჟილეტიან ქვედა ბოლოს თავისი შესაფერი სვიტრით, ბლუზით და ა. შ.

მოზრდილთა მოდის გავლენა საბავშვო ტანსაცმელზე დღესაც შეინიშნება. მოდის ეს ტენდენცია, ამჯერად, მხოლოდ ტანსაცმლის სიგრძეს შეეხო, კერძოდ, დაგრძელდა გოგონების კაბები, მაგრამ კაბების სიგრძე ზუსტად არ არის დადგენილი. ეს ბავშვის გარეგნობის თავისებურებისა და კაბის დანიშნულების მიხედვით უნდა განისაზღვროს.

ყოველდღე ჩასაცმელი კაბა სასურველია დაგრძელდეს მუხლის შუახაზამდე, ან მუხლი მთლიანად დაიფაროს. გამოსასვლელი კაბები კი შეიძლება უფრო გრძელიც იყოს. მაგრამ ეს დიდი ტაქტითა და ზომიერების გრძნობით უნდა გაკეთდეს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კაბის ფასონის სწორ შერჩევას და მის პროპორციებს, თუ არა და, — გოგონები შეიძლება დიდ ქალებს დაემსგავსონ.

მოდის ამ სიახლის საილუსტრაციოდ გთავაზობთ რამდენიმე ახალი მოდელის ესკიზს.

ლ. ხვედელიძე

მოდების ავტორი ნ. ბაქრაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ 71/103



ИНДЕКС 76178